პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 26 დეკემბერი, 1945 წ. № 255 (7470). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
პ. ტუმანოვი — ამომრჩეველთა სიები (მე-2 გვერდი).
სორმოვის მუშათა შეიარაღებული აჯანყების 40 წლისთავი (მე-2 გვერდი).
ტრაქტორისტთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება (მე-3 გვერდი).
ს. ელიაძე — ელექტროენერგიის ეკონომიისათვის (მე-3 გვერდი).
ი. ბუაჩიძე — კახეთის არტეზიული წყლების გამოყენების საკითხისათვის (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავის აღსანიშნავად მთელი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს მასების დაუშრეტელ შემოქმედებითს უნარსა და ენერგიას.

დიდი სამამულო ომის პერიოდში მასების სოციალისტური შეჯიბრება მტრის ეკონომიკაზე საბჭოთა ეკონომიკის გამარჯვების მძლავრი წყარო იყო. ახლა, ომის ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრების შემდეგ, საბჭოთა პატრიოტები სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ახალ წარმატებებს აღწევენ შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში, რათა მალე მოუშუშონ სამშობლოს ომით მიყენებული ჭრილობები. მრავალდაზგოსნობა, პროფესიათა შეთავსება, ორასოსანთა, ხუთასოსანთა, ათასოსანთა მოძრაობა, სტახანოვური სკოლების შექმნა, გამოცდილი მუშების შეფობა ახალმოსულებზე — ყოველივე ეს ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომ აღმავლობას.

მუშათა კლასი, რომელიც ჩინებულად იყენებს დიდი სამამულო ომის პერიოდში შეძენილ მდიდარ გამოცდილებას, ახალ-ახალი შესანიშნავი ინიციატივით გამოდის. მაგალითად, გორკელმა მჭედელმა ელიზარ კურატოვმა მიზნად დაისახა თავისი სამუშაო ადგილი ისე მოეწყო, რომ დეტალების გამოჭედვის დროს მუშაობაში ხელი არაფერს შეეშალა. ამისათვის მას დასჭირდა მრავალი ღონისძიების გატარება. სამაგიეროთ, მან შრომის ნაყოფიერების უმაგალითო აღმავლობას მიაღწია. ამხ. კურატოვს მიჰბაძეს ანდრეი ზაგორნიმ, ივანე პოველიკინმა. სულ მალე მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, სადაც ამხ. კურატოვი მუშაობს, ყველა მჭედელი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათგან ოთხმოცმა შრომის ნაყოფიერების სარეკორდო მაჩვენებლები მოგვცა. რამდენიმე დღის შემდეგ გაჩაღდა შეჯიბრება ქალაქ გორკის სტახანოველ მჭედლებს შორის. კურატოვს პირველობისათვის შეეჯიბრა იმავე ქალაქის სტალინის სახელობის ქარხნის სახელოვანი მჭედელი პეტრე მუხინი.

რამდენიმე დღის წინათ გორკელების ამ ინიციატივას გამოეხმაურნენ თბილისელი მჭედლები. ჩვენმა გაზეთმა უკვე დაბეჭდა სტახანოველ მჭედელთა სიტყვები თათბირზე, რომელიც შესდგა 20 დეკემბერს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში. თბილისელ სტახანოველ მჭედლებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საქალაქო პირველობისათვის. ამ შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ პირველი ცნობები მოწმობენ, რომ მჭედლების შრომის ნაყოფიერება სწრაფად იზრდება. ცნობილი სტახანოველები ვ. კორძაძე, კ. ილურიძე, დ. ჩიმჩიური, პ. ლუგანსკი, თ. ბელიკი და სხვები სისტემატურად იძლევიან მაღალ მაჩვენებლებს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მჭედელთა შეჯიბრების ამოცანა მარტოოდენ და უმთავრესად ის კი არ არის, რომ ცალკეულმა სტახანოველებმა სარეკორდო მაჩვენებლები მოგვცენ. შეჯიბრების მიზანია მივაღწიოთ ჩამორჩენილების დაწინაურებას, მჭედელთა შრომის ნაყოფიერების საერთო აღმავლობას, საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას. საწარმოთა ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ამისათვის ყველა პირობა უნდა შეუქმნან მჭედლებს. სტახანოველი მჭედლების თათბირზე ბევრი ითქვა ამის შესახებ. მაგალითად, აღნიშნეს, რომ ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საამქროებში ტალახი და სიცივეა, სახურავიდან წყალი ჩამოდის და ქურაში სათანადო ტემპერატურის დაცვა ძნელდება. ეს ხელს უშლის მუშაობას. კალინინის სახელობის ქარხანაში უკვე წელიწადია არ მუშაობს საორთქლე ურო და მუშებს ძველი წესით უხდებათ დეტალების გამოჭედვა. ბევრგან ვერ მოუწესრიგებიათ უბრალო საქმე — იშოვონ ქურაში ცეცხლის დამთები, რათა მუშაობის დაწყებისას მჭედლები არ გაცდნენ. ბევრგან სამჭედლო საქმეში მექანიზმების გამოყენებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ერთ-ერთი მანქანის სალერძე ლითონს, რომელიც ქურიდან გავარვარებული გამოაქვთ, გამოჭედვის დროს რკინიკეტებით აბრუნებენ. ამიტომ ერთი დეტალის გამოჭედვაზე რამდენიმე კაცია საჭირო. ამწევი მექანიზმის მოწყობით, რაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, ენერგიის ეს უნაყოფო ხარჯვა თავიდან იქნებოდა აცილებული.

საქარხნო პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები არ უნდა შემოიფარგლონ მარტო მჭედლების შეჯიბრების მოწყობით. საჭიროა ასევე გავაჩაღოთ შეჯიბრება სხვა პროფესიების მიხედვითაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ძირითადი პროფესიების მუშებისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობებისა და სტიმულის შექმნას. საჭიროა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება ხარატებსა, ზეინკლებსა, მექვაბეებსა, ლითონმსხმელებსა და მღარველებს შორის. ასევე უნდა გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით ახალმშენებლობებზე, რკინიგზასა და საავტომობილო ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, ყველგან, ყველა დარგში!

თუ ვინ იქნება თბილისში საუკეთესო მჭედელი, ხარატი, ზეინკალი, ვინ იქნება მშენებლობაზე საუკეთესო მებეტონე, კალატოზი, ვინ იქნება საქართველოში ორთქლმავლისა და ელექტრომავლის საუკეთესო მემანქანე, ან ავტოტრანსპორტზე საუკეთესო წამყვანი,—ეს სახელისა და ღირსების საქმეა.

სათავეში ჩავუდგეთ სოციალისტურ შეჯიბრებას პროფესიათა მიხედვით, ხელი შევუწყოთ ყველა დარგის სტახანოველებს გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, შევქმნათ პირობები საერთო აღმავლობის მისაღწევად მთელ სახალხო მეურნეობაში—ასეთია ამოცანა!

უკანასკნელი ცნობები

გაზის ბომბის აფეთქება იტალიის კომპარტიის შენობაში

რომი, 25 დეკემბერი. (საკდესი). რომის რადიო გადმოგვცემს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ცნობას იმის შესახებ, რომ გუშინ რომში დაახლოებით 18 საათზე იმ შენობაში, სადაც იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა სხდომა იყო, აფეთქდა მომწამვლელგაზიანი ბომბი. აფეთქების შედეგად ჩაიმტვრა ფანჯრები, რომლებითაც გაზი დარბაზში შევიდა. სხდომის ზოგიერთ მონაწილეს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. იტალიელი ხელისუფალნი აწარმოებენ გამოძიებას.

ფრანკოს ახალი მანევრები

პარიზი, 25 დეკემბერი. (საკდესი). მადრიდიდან მიღებული ცნობებით, ფრანკო ეყრდნობა ესპანეთის სხვადასხვა კათოლიკურ ელემენტებს და იწყებს ეგრეთწოდებული სოციალურ-ქრისტიანული პარტიის მოწყობას, რომელიც, მისი აზრით, მისი რეჟიმის არსებითი საყრდენი უნდა გახდეს. იეზუიტთა ორდენის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი ანქელ ერერა უკვე გაემგზავრა რომს ასეთი პარტიის შექმნის შესახებ პაპთან მოსალაპარაკებლად. რომიდან ერერა გაემგზავრება ბრიუსელსა და პარიზს, რათა დაამყაროს ესპანელი კათოლიკური წრეების კონტაქტი ბელგიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებთან, აგრეთვე ამ ქვეყნების კათოლიკურ წრეებთან.

ნორვეგიის მუნიციპალური ორგანოების არჩევნების საბოლოო შედეგები

ოსლო, 25 დეკემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნებულია ნორვეგიის ყველა ქალაქში მუნიციპალური ორგანოების არჩევნების შედეგები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ მუშათა პარტიამ ხმის უმრავლესობა მიიღო 12 ქალაქში, 29 ქალაქში, მათ შორის ყველაზე დიდ ქალაქებში—ოსლოში, ბერგენსა, ტრონჰეიმსა, დრამენსა და სტავანგერში—მუშათა პარტიას უმრავლესობა აქვს კომუნისტურ პარტიასთან ერთად.

სხვა პარტიებმა უმრავლესობა მიიღეს 18 პატარა ქალაქში.

სენატორი ტომასი იაპონიის პარლამენტის სესიის შედეგთა შესახებ

სან-ფრანცისკო, 25 დეკემბერი. (საკდესი). სან-ფრანცისკოს რადიო გადმოგვცემს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სენატის წევრ ტომასის განცხადებით, 28 კანონპროექტიდან, რომლებიც განხილული იყო იაპონიის პარლამენტში, მხოლოდ სამ კანონპროექტს ჰქონდა მართლაც დიდი მნიშვნელობა. საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ პარლამენტის პირველმა სესიამ იაპონელებს მშვენიერი შემთხვევა მისცა დაემტკიცებინათ თავიანთი გულწრფელი მისწრაფება გარდაქმნებისადმი, მაგრამ იაპონიის პარლამენტის წევრებმა უარი სთქვეს ამაზე. იმის ნაცვლად, რომ განეხორციელებინათ კანონები, რომლებიც იაპონელ ხალხს გაათავისუფლებენ ფეოდალიზმისაგან, ისინი ფუჭსავატი სიტყვებისათვის ჰკარგავდნენ დროს.

ამერიკის ჯარების რაოდენობა პარიზის რაიონში

პარიზი, 25 დეკემბერი. (საკდესი). რაოდენობა ამერიკის ჯარებისა, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებიან პარიზის რაიონში, 35 ათას კაცს უდრის. მაგრამ ამერიკისა და საფრანგეთის სხვადასხვა დამხმარე სამსახურთან ერთად, რომლებიც ამერიკის სარდლობას ექვემდებარებიან, ამერიკის ჯარების რაოდენობა პარიზის რაიონში 100 ათასამდე კაცს აღწევს.

ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის

მოსკოვის სასოფლო საარჩევნო ოლქში

საუბარი საოლქო კომისიის თავმჯდომარე აკადემიკოს ნ. ვ. ციცინთან

თითქმის 50 ათასი კვადრატული კილომეტრი უკავია მოსკოვის ორდენოსანი ოლქის ტერიტორიას, რომელზეც ამჟამად შეიქმნა მოსკოვის სასოფლო საარჩევნო ოლქი. მის შემადგენლობაში ითვლება 150-მდე ქალაქი და ქალაქის ტიპის დაბა, 10 ათასზე მეტი სოფელი. აქ არის მრავალი ძველი რუსული ქალაქი, უძვირფასესი ისტორიული ძეგლები და ნაგებობანი, რომლებიც დაკავშირებულია რუსი ხალხის ისტორიის უდიდეს ამბებთან.

მოსკოვის ოლქის ტერიტორიაზე მდებარეობენ მთელი რიგი საწარმოები, რომლებსაც თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ჩვენი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო ცხოვრებაში — კოლომნის მანქანათმშენებელი ქარხანა, მიტიშჩის ვაგონმშენებელი ქარხანა, „ელექტროსტალი“, ვოსკრესენსკის ქიმიური კომბინატი, უდიდესი ელექტროსადგურები და მრავალი სხვა საწარმო.

ოლქის იმ კოლმეურნეთა მუშაობას, რომლებმაც სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, არაერთხელ მიეცა მაღალი შეფასება.

მოსახლეობის რიცხვის მიხედვით მოსკოვის ოლქი ყველაზე დიდია სსრ კავშირში.

ოლქში შექმნილია 3.766 საუბნო საარჩევნო კომისია. ამ კომისიებში 30 ათასამდე წევრი ითვლება. რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უკვე დაამტკიცეს მათი შემადგენლობა.

ვინ წამოაყენეს ოლქის მშრომელებმა საუბნო კომისიათა შემადგენლობაში?

საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობების თანახმად, მოსკოვის სასოფლო ოლქის საუბნო კომისიების 10 ათასზე მეტ წევრს მიღებული აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება. მათ შორის არიან სტახანოველი მუშები, მოწინავე კოლმეურნეები, აგრონომები, მასწავლებლები, ინჟინრები და საბჭოთა ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

საუბნო კომისიები უკვე შეუდგნენ მუშაობას. მათთვის გამოყოფილია საუკეთესო შენობები—სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, კლუბები და სხვა საზოგადოებრივი შენობები. ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა აქტიურად ეხმარება საარჩევნო კომისიებს ამ შენობების მოწყობაში. მიტიშჩის რაიონის ტარასოვის სასოფლო საბჭოში დიასახლისმა ა. ი. ანისიმოვამ საუკეთესო ოთახები შესთავაზა საუბნო საარჩევნო კომისიას თავის სახლში. ა. ი. ანისიმოვამ თვითონ მორთო ეს ოთახები, ავეჯით მოაწყო. საუბნო საარჩევნო კომისიის გარშემო შექმნა ქალთა აქტივი, რომლებიც ყოველმხრივ ეხმარებიან კომისიას მუშაობაში.

მოსკოვის ოლქის კავშირგაბმულობის სამმართველო ზომებს იღებს ყველა საარჩევნო უბნის ტელეფონიზაციისათვის. ხდება უბნების რადიოფიცირება. საარჩევნო კომისიების შენობებში ეწყობა რადიოსადგურები, რომლებიც სავსებით უზრუნველჰყოფენ ორმხრივ კავშირს. (საკდესი).

თბილისი. ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული აგიტპუნქტი. ახალგაზრდა ამომრჩევლები ეცნობიან საარჩევნო ლიტერატურას.

ფოტო რ. აკოფოვისა

მთავრდება ამომრჩეველთა სიების შედგენა

გორკი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ქალაქში მთავრდება ამომრჩეველთა სიების შედგენა. ამ მნიშვნელოვან საქმეში საბჭოების აღმასკომებს დიდ დახმარებას უწევენ ჟდანოვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტები. სიების შედგენისას სტუდენტები ხვდებიან ბევრ სახელსა და გვარს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი სამშობლოს შესანიშნავ ამბებთან.

აი № 5 საარჩევნო უბნის სია. აქ ამომრჩეველთა სიაშია პეტრე ანდრიასძე ზალომოვი. იგი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის აქტიური მონაწილეა. 1902 წელს პეტრე ზალომოვი სორმოველი მუშების საპირველმაისო დემონსტრაციის მეთაური იყო. მისი საგმირო საქმეები მკაფიოდ არის ასახული ა. მ. გორკის მოთხრობაში „დედა“.

ამავე უბნის სიაში შეტანილია 82 წლის მარგარიტა ვიქტორის-ასული ნესტეროვა. ვინ არ იცნობს მის შვილს ნიკოლოზ ნესტეროვს, სახელგანთქმულ რუს ავიატორს, რომელმაც მსოფლიოში პირველმა გააკეთა „მკვდარი მარყუჟი“.

იზრდება მოთხოვნილება საარჩევნო ლიტერატურაზე

სარატოვი, 24 დეკემბერი. (საკდესი). სარატოვის საოლქო გამომცემლობამ, გაითვალისწინა რა უფრო და უფრო მზარდი მოთხოვნილება საარჩევნო ლიტერატურაზე, მრავალათასიანი ტირაჟით გამოუშვა არჩევნებისადმი მიძღვნილი რამდენიმე ბროშურა: ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება, სსრ კავშირის კონსტიტუცია, სტატიების კრებული ახალგაზრდა ამომრჩევლების დასახმარებლად და სხვა წიგნები. საქალაქო და სასოფლო აგიტპუნქტებში 200 ათასზე მეტი ცალი საარჩევნო ლიტერატურა გაიგზავნა.

კოსტრომა, 24 დეკემბერი. (საკდესი). საოლქო გამომცემლობამ გამოუშვა და გაჰყიდა 145 ათასი ცალი საარჩევნო ლიტერატურა. გამოშვებულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, არჩევნების დებულება, ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 28-ე წლისთავის შესახებ.

ამჟამად გამომცემლობა უშვებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების მეორე გამოცემას.

ახალგაზრდა მეშახტეების შეჯიბრება

ტყვარჩელი („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის აღსანიშნავად ტყვარჩელელმა ახალგაზრდა მეშახტეებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. საუკეთესო შედეგებს აღწევს სტალინის სახელობის შახტის მესამე უბნის ახალგაზრდა მნგრეველთა ბრიგადა, რომელსაც ი. შუტოვი ხელმძღვანელობს. შეჯიბრებაში მონაწილეობენ და პირველობისათვის წარმატებით იბრძვიან მეშახტე ქალიშვილების ბრიგადა პაშა ვასენკოვას ხელმძღვანელობით.

შახტში მომუშავეებს დიდ დახმარებას უწევენ მიწის ზედაპირზე მომუშავე ახალგაზრდები, რომლებიც სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ჩადიან შახტში და ქვანახშირის ამოღებით ეხმარებიან. მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ 14 ახალგაზრდა მეშახტე დაჯილდოებულია „სოციალისტურ შეჯიბრებაში წარჩინებულის“ ნიშნით. მათ შორის არიან პ. ვასენკოვა, დ. ცავა, კ. ქობალია, მემანქანე ბაკუროვი და სხვ.

ა. ლეფთერიძე

მუსიკალური სასწავლებლის აგიტბრიგადა

კიროვის რაიონის პირველმა მუსიკალურმა სასწავლებელმა მოსწავლეებისაგან შექმნა აგიტბრიგადა, რომელიც არჩევნებისათვის მზადების დღეებში მხატვრულ მომსახურებას გაუწევს თბილისის საწარმოებს.

აგიტბრიგადის პროგრამა მრავალფეროვანია. იგი ითვალისწინებს სიმღერებს, მხატვრულ კითხვას. პროგრამაშია სიმღერები, მიძღვნილი ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინისადმი და ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი. პროგრამა ასახავს საბჭოთა ადამიანების თავდადებულ ბრძოლასა და შრომას დიდი სამამულო ომის პერიოდში. პროგრამაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საარჩევნო კანონისა და სტალინური კონსტიტუციის პროპაგანდას.

აგიტბრიგადაში 16 ნიჭიერი ახალგაზრდა მონაწილეობს. ბრიგადის სამხატვრო ხელმძღვანელია სასწავლებლის დირექტორი მ. ევმენოვი, ვოკალურ ნაწილს ხელმძღვანელობს მასწავლებელი რიადნოვა, წამყვანი შემსრულებელია ლენა დვალი, მთავარი მონაწილენი—ლია მებურიშვილი, გაიანე დოლიძე, ალა ტომასოვა, ტარიელაშვილი.

აგიტბრიგადა უკვე გამოვიდა თბილისის მთელ რიგ საწარმოებში.

ვინ იქნება თბილისში საუკეთესო მჭედელი?

25 დეკემბრის მაჩვენებლები

⊙ **26 კომისრის სახელობის** მანქანათმშენებელი ქარხნის მჭედელმა ვ. კორძაძემ, რომელიც სტალინის სახელობის ქარხნის მჭედელს კ. ილურიძეს ეჯიბრება, დღიური საწარმოო დავალება 1.112 პროცენტით შეასრულა.

⊙ **სტალინის სახელობის** თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მჭედელმა კ. ილურიძემ გეგმა შეასრულა 722 პროცენტით.

⊙ **ორჯონიკიძის სახელობის** მანქანათმშენებელი ქარხნის მოწინავე მჭედლებმა მოგვცეს ასეთი მაჩვენებლები: ნ. ბორზუჩენკომ გეგმა შეასრულა 400 პროცენტით, ა. რომელაშვილმა—300 პროცენტით და ა. აივაზოვმა—280 პროცენტით.

⊙ **ქარხანა „დაზგაში“** მომუშავე სტახანოველმა მჭედელმა ვ. ზაგულენკომ გეგმა შეასრულა 550 პროცენტით.

სტალინის სახელობის შახტის მოწინავე ადამიანები

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მოწინავე ადამიანები ახალი მიღწევებით აღნიშნავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავისათვის მზადების დღეებს.

მერვე საექსპლოატაციო უბნის სემივოლოსელი მნგრეველები თ. ნანიკაშვილი, ს. ლაფერაძე, ამბერკი და ალისტრახო ქათამაძეები, რომლებმაც წლიური გეგმა 150-200 პროცენტით შეასრულეს, ახლა ყოველდღიურად 2-3 ნორმას იძლევიან. ქვანახშირის მტვირთავმა ა. კუბლაშვილმა ნოემბრის დავალება გაანაღდა 165 პროცენტით, ხოლო გამგორებელმა ა. ფორჩხიძემ ამავე თვეში 64 დღის გეგმა შეასრულა. წარმატებით მუშაობენ პირველი საექსპლოატაციო უბნის ახალგაზრდა მნგრეველები დ. ნემსაძე და ო. რობაქიძე. პირველმა ნოემბრის გეგმა შეასრულა 176 პროცენტით, მეორემ—148 პროცენტით.

მეორე საექსპლოატაციო უბნის ქვანახშირის მნგრეველმა ი. ბასმალიოვმა ნოემბერში გეგმა 203 პროცენტით შეასრულა და მოწინავე მეშახტეთა რიგებში ჩადგა.

მეშვიდე საექსპლოატაციო უბანზე შესანიშნავ წარმატებებს აღწევს ახლად დაწინაურებული მტვირთავი ესევიკი. მან 17 დღეში 36 დღის გეგმა შეასრულა. ამავე უბანში ქვანახშირის ტვირთვის ყოველდღიურ გეგმებს 200-250 პროცენტით ასრულებს კომკავშირელი პაშა აბესაძე, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ტყვარჩელელ მეშახტე ქალებთან.

დ. ქათამაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სტახანოველ მექვაბეთა ინიციატივა

გუშინ, 25 დეკემბერს, შესდგა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი მექვაბეების შეკრება, რომელსაც 150-მდე კაცი დაესწრო.

საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. ცირეკიძემ მექვაბეებს გააცნო მჭედელთა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და მოუწოდა მათ მიჰბაძონ მჭედლების მაგალითს, გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება თბილისის საუკეთესო მექვაბის სახელწოდების მოსაპოვებლად.

მექვაბეებმა ერთხმად მოიწონეს ეს წინადადება. მათ მოწოდებით მიმართეს თბილისის საორთქლმავლო დეპოსა და თბილისის სხვა საწარმოებში მომუშავე მექვაბეებს ჩაებან მექვაბეთა შეჯიბრებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის XXV წლისთავის აღსანიშნავად.

შეკრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს და ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს მოწინავე მექვაბეებმა მ. აბუაშვილმა, ი. ბაბაევმა, ვ. პილიპჩუკმა, გ. ილურიძემ, მ. რეფერტმა, ლ. მარგიშვილმა, ა. გალტაევმა, ი. ხორბალაძემ, შ. მამისაშვილმა, ვ. ლაზუაშვილმა, ვლ. მელვინიშვილმა, ი. სელიხოვმა, ა. დავლიანიძემ და ა. ფარესაშვილმა.

თავიანთ სიტყვებში მექვაბეები მოითხოვდნენ, რომ ქარხნის ხელმძღვანელობამ და საამქროთა უფროსებმა მათ ხელი შეუწყონ სამუშაო ადგილების კარგად მოწყობაში, მასალების დროულად მიწოდებასა და აღრიცხვის მოწესრიგებაში.

კითხვა-პასუხის საღამო

სამსამდე მაღაროელი მოგროვდა კლუბში. ისინი ათვალიერებდნენ კარგად მოწყობილ აგიტპუნქტს. ჯგუფ-ჯგუფად დგანან, საუბრობენ.

მცირე ხანი და კითხვა-პასუხის საღამო დაიწყო. მაღაროელებს ძლიერ აინტერესებდათ, რა პასუხს მიიღებდნენ მათ მიერ შეტანილ კითხვებზე.

შეკითხვები მრავალ საკითხს ეხებოდა. იყო კითხვები ისტორიიდან, ფილოსოფიიდან, ბუნებისმეტყველებიდან, წარმოების დარგიდან. მაგრამ კითხვების უმეტესობა ეხებოდა არჩევნებს, სტალინურ კონსტიტუციას, საბჭოთა საარჩევნო კანონს.

შეკითხვებს პასუხი გასცეს საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ლ. გეგეშიძემ, პარტკაბინეტის გამგემ მ. მოდებაძემ, პარტკაბინეტის კონსულტანტმა შ. ლექავამ, ლიტერატორმა დ. ტატიშვილმა, ისტორიკოსმა ა. ლომიძემ, ინჟინერმა გ. წიწილაშვილმა, მაღაროს დირექტორმა მ. ქამუშაძემ, პარტბიუროს მდივანმა გ. თოდაძემ.

კითხვა-პასუხის საღამო ჭიათურაში პირველად მოეწყო. ამით სტალინის სახელობის მაღაროს პარტიულმა ორგანიზაციამ კარგი საქმე გააკეთა.

მაღაროელთა აზრი კარგად გამოხატა ცნობილმა სტახანოველმა ა. ძინძიბაძემ, როცა მან საღამოს დასასრულს სურვილი გამოსთქვა, რომ ხშირად გაიმართოს კითხვა-პასუხის საღამო.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით

1. დათუკიშვილი ბარბარე (ბაბე) ილიას-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის წევრი
2. პაპაშვილი ალექსანდრა გიორგის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ დაბის კოლმეურნეობის წევრი
3. პეჩინსკი ალათი ნიკიტას-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროს კოლმეურნეობის წევრი
4. ხეხნიაშვილი ივლიანე ივანეს-ასული — დიასახლისი, სოფელი წითელიწყარო, წითელწყაროს რაიონი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით

1. ბიკაშვილი ოლღა მალხაზის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის კოლმეურნეობის წევრი
2. ბუთხუზი ევა ზაქარიას-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
3. ნიაჩიტოვა მარიამ სიმონის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
4. რამაზაშვილი ევგენია ივანეს-ასული—თელავის რაიონის სოფელ ზემოფშავლის კოლმეურნეობის წევრი
5. შიოთნიშვილი მარგარიტა გიოს-ასული — წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის წევრი
6. ზაშვიაშვილი ანეტა ოქროეს-ასული—თელავის რაიონის სოფელ იყალთოს კოლმეურნეობის წევრი
7. ფოცხვერაშვილი ნინო თომას-ასული — წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის კოლმეურნეობის წევრი
8. ჯორჯოშვილი სოფიო (სონა) დავითის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ ოზაანის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით

1. გონაშვილი ეკატერინე მიხეილის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის კოლმეურნეობის წევრი
2. ავეტისიანი სათენიკ მხითარის-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი
3. გრიგორიანი არუსიაკ გრიგოლის-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი
4. ისმი თავთუხ ყიზი—თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
5. მამნიაშვილი ანეტა ნასყიდას-ასული — თელავის რაიონის სოფელ გულგულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
6. მაჩაბლიშვილი სოფიო პავლეს-ასული — წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის წევრი
7. პროშიევა ნატალია იოსების-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკის კოლმეურნეობის წევრი
8. ყოჩიაშვილი ნინო სოსიას-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემომაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
9. ჯინაშვილი მარიამ ალექსის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი
10. ხაროლსკაია ალექსანდრა ნიკიფორეს-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით

1. ბაღაშვილი ეკატერინე გიორგის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის წევრი
2. ბაბსოლიანი ქრისტინე ალექსის-ასული—თელავის რაიონის სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
3. გიგაშვილი მალუცა ნიკოლოზის-ასული—თელავის რაიონის სოფელ იყალთოს კოლმეურნეობის წევრი
4. გონაშვილი მანანა სოლომონის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი
5. დედაბრიშვილი სოფიო დავითის-ასული—თელავის რაიონის სოფელ იყალთოს კოლმეურნეობის წევრი
6. დედაბრიშვილი ბაბალე იოსების-ასული—თელავის რაიონის სოფელ იყალთოს კოლმეურნეობის წევრი
7. კუჩჩინა მელანია მარტინის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროს კოლმეურნეობის წევრი
8. ლისნოვა ნადეჟდა თედორეს-ასული — დიასახლისი, სოფელი დაბა, წითელწყაროს რაიონი
9. პატატიშვილი სოფიო ივანეს-ასული — წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის წევრი
10. ფოცხვერაშვილი მარიამ გიორგის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ უზუნდარის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
11. ფორკუშ ბაბალე ანდრიას-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი
12. შაშვიაშვილი თინათინ (თიკო) იოსების-ასული—თელავის რაიონის სოფელ იყალთოს კოლმეურნეობის წევრი
13. ჩუგუნიძე მანანა სოსიკოს-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის წევრი
14. წიწილაშვილი ეკატერინე (კატო) ალექსის-ასული—თელავის რაიონის სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით

1. ალადაშვილი მარიამ ისაკის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის წევრი
2. ბარდაველიძე ანა სიმონის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი
3. ბარდანაშვილი ელენე (ელო) დიმიტრის-ასული—თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობის წევრი
4. ბაღაშვილი მარიამ დიმიტრის-ასული — წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის წევრი
5. გონაშვილი ქეთევან გიორგის-ასული — წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის კოლმეურნეობის წევრი
6. გუნია ალექსანდრა მელიტონის-ასული—მასწავლებელი, ქ. თბილისი
7. დათუკიშვილი ეკატერინე გიორგის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის კოლმეურნეობის წევრი
8. დათუკიშვილი მარიამ მიხეილის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის წევრი
9. ზაალიშვილი ალექსანდრა (საშა) ივანეს-ასული—დიასახლისი, სოფელი ვარდისუბანი, თელავის რაიონი
10. ზაზაშვილი ელენე ნიკოლოზის-ასული—თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობის წევრი
11. მეტრეველი პელაგია ნიკოლოზის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი
12. ნადარეიშვილი ნატალია ალექსანდრეს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი
13. სოზაშვილი ანა გიოს-ასული—თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობის წევრი
14. სუმბაძე ოლღა დავითის-ასული—დიასახლისი, სოფელი ვარდისუბანი, თელავის რაიონი
15. ტარუღაშვილი ნინო იაკოფის-ასული—თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობის წევრი
16. პოპიაშვილი ელისაბედ (ლიზა) ტიტიკოს-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის კოლმეურნეობის წევრი
17. შაშიაშვილი მარიამ სტეფანეს-ასული—თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობის წევრი
18. ძნელაშვილი ელენე ისაკის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის წევრი
19. ხუციშვილი ბარბარე (ვარინკა) მიხეილის-ასული—წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
1945 წ. 19 დეკემბერი, ქ. თბილისი.

სორმოვოს მუშათა შეიარაღებული აჯანყების 40 წლისთავი

გორკი, 24 დეკემბერი. (საქდესი). ქალაქ გორკის მშრომელები აღნიშნავენ სორმოვოს ქარხნის მუშათა პირველი პოლიტიკური გაფიცვისა და მის შემდეგ მომხდარი შეიარაღებული აჯანყების 40 წლისთავს. სორმოვოს შეიარაღებულ აჯანყებას მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. მასში მონაწილეობდა უძველესი რუსული ქარხნის ათასობით მუშა, რომლნიც დაირაზმნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. აჯანყების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა რსდმპ ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტი, რომელსაც სათავეში ბოლშევიკები ედგნენ. აჯანყებას მხარი დაუჭირეს კანავინოს რკინიგზის სახელოსნოების და ქალაქის სხვა საწარმოთა მუშებმა. მეფის მთავრობამ აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნა პოლიცია, ჟანდარმერია და რეგულარული ჯარები, რომლებმაც არტილერია გამოიყენეს. მოკლულ იქნა 40 მუშა და დაიჭრა 100-ზე მეტი. აჯანყება ჩააქრეს, მაგრამ მან დიდი როლი შეასრულა ნიჟნი-ნოვგოროდის მუშათა რევოლუციურ აღზრდაში.

აჯანყების 40 წლისთავთან დაკავშირებით ქარხანა „კრასნოე სორმოვოს" საამქროებში და ქალაქის სხვა საწარმოებში ეწყობა საუბრები და კრებები.

ქარხნის გაზეთ „კრასნი სორმოვეცის" რედაქციაში შედგა აჯანყების მონაწილეთა კრება, რომლებმაც ერთმანეთს გაუზიარეს მოგონებანი. საკ. კ. პ. (ბ) სორმოვოს რაიკომის პარტიულ კაბინეტში გაიხსნა შეიარაღებული აჯანყების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქ წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი ფოტოდოკუმენტი, პროკლამაციათა ფოტოპირები, რსდმპ ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტის ლიტერატურა. ცალკე მაგიდაზე მოთავსებულია მაკეტი მთავარი ბარიკადისა, რომელიც იყო სორმოვოს ცენტრალურ ქუჩაზე — სკოლის შენობასთან. იქვე გამოფენილია საბრძოლო რაზმის წევრთა თვითნაკეთი იარაღი — ბომბები, შუბები, ხმლები, სატევრები და პატარა ზარბაზანი, რომელიც ქარხნის საამქროებში ჩამოასხეს აჯანყებულმა მუშებმა.

* * *

დღეს სტალინის სახელობის კულტურის სახლში შედგა მშრომელთა დეპუტატების სორმოვოს რაიონული საბჭოს აღმასკომის საზეიმო სხდომა 1905 წლის შეიარაღებული აჯანყების მონაწილეებთან, პარტიულ და სამეურნეო აქტივთან, რაიონის საწარმოთა სტახანოველებთან ერთად. სხდომა მიეძღვნა სორმოველ მუშათა შეიარაღებული აჯანყების 40 წლისთავს.

სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება ამხანაგ სტალინს.

სამივე ხარისხის დიდების ორდენის კავალერი კომკავშირელი დ. სტანელენე, რომელმაც ფრონტზე „წარჩინებული მეტყვიამფრქვევის" ნიშანი დაიმსახურა, ამჟამად სწავლობს ვილნიუსში — ლიტვის რესპუბლიკურ პარტიულ სკოლაში. ის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ლიტვის სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრია. სურათზე: დ. სტანელენე მეცადინეობაზე.

ფოტო ა. ფატეევისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა გამოცემა ლატვიურ ენაზე

რიგა, 24 დეკემბერი. (საქდესი). ლატვიის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები „სახელმწიფოს შესახებ" და „დემოკრატიისა და დიქტატურის შესახებ". ბროშურა გამოვიდა რუსულ და ლატვიურ ენებზე 50-ათასიანი ტირაჟით.

ცვლაში 14 ნორმა

ვასილ შუბინის შესანიშნავი რეკორდი

გორკი, 24 დეკემბერი. (საქდესი). მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის საინსტრუმენტო-საშტამპო განყოფილების ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა, ორგზის ორდენოსანმა ვ. შუბინმა, რომელიც ვახტზე დადგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად, ახალ შესანიშნავ საწარმოო რეკორდს მიაღწია. დეტალების დამზადებისას მან წარმოების პროცესის რაციონალიზაციით დღის პირველ ნახევარში ცვლის დავალება 1.175 პროცენტით შეასრულა.

დღის მეორე ნახევარში შუბინმა ზეინკლად იმუშავა. ხრახნის გაჭრაზე მუშაობდა და კიდევ სამი დღიური ნორმა შეასრულა. ამრიგად მან ცვლაში 14-ზე მეტი ნორმა შეასრულა და ყველა თავის წინანდელ რეკორდს გადააჭარბა.

ნოვგოროდის აღდგენა

ნოვგოროდი, 23 დეკემბერი. (საქდესი). წელს ქალაქში აღდგენილი და აგებულია 486 სახლი 34 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით. აღდგენილია საოლქო თეატრი, ორი სკოლა, რამდენიმე მაღაზია და სასადილო, ათობით კილომეტრი ელექტროხაზი.

გათვალისწინებულია სამშენებლო სამუშაოთა დიდი პროგრამა 1946 წლისათვის. აღდგენილ იქნება 42 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. 500 სახლს ააგებენ ინდივიდუალური მშენებლები. დასახულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა—საოლქო და საქალაქო საავადმყოფოების, კლინიკის, სამშობიარო სახლის, სამასწავლებლო ინსტიტუტის, საბავშვო ბაღების, ბაგების, სკოლების, ფოსტამტის მშენებლობის ფართოდ გაშლება.

1946 წელს მშენებლობაზე დაიხარჯება 40 მილიონ მანეთზე მეტი.

დამატებითი საზღაური მეცხოველეობის მოწინავეებისათვის

დონის როსტოვი, 23 დეკემბერი. (საქდესი). დონის მოწინავე მეცხოველეები, რომლებმაც საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს, მაღალ დამატებით საზღაურს იღებენ. ზიმოვნიკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია ზარიას" მეცხვარეობის ფერმის გამგემ ი. გერამჩენკომ წელს 505 ცხვრისაგან 605 ბატკანი გამოზარდა. ახლა მას დამატებითი საზღაურის წესით 14 ბატკანი ეძლევა. ლორის სულადობის მატების გეგმას თითქმის ერთიორად გადააჭარბა ვოიკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის გამგემ შაპოვალოვამ. მას 9 გოჭს აძლევენ. სულ წელს დამატებით საზღაურს იღებს ოლქის 9 ათასი მოწინავე კოლმეურნე მეცხოველე. მათ ეძლევათ 5 ათასი სული სხვადასხვა საქონელი და 700-მდე ცენტნერი მეცხოველეობის პროდუქცია.

იოჰან კოტკასი სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონია ფრანგულ ჭიდაობაში

ლენინგრადი, 23 დეკემბერი. (საქდესი). ლენინგრადის ცირკში შედგა ფინალური შეხვედრა სპორტსმენებისა, რომლებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელწოდებას ფრანგულ ჭიდაობაში. შეჯიბრების საბოლოო წრეში მონაწილეთა ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: ლიდერობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი იოჰან კოტკასი, რომელსაც მხოლოდ ორი წაგებული ქულა ჰქონდა. მის შემდეგ იყვნენ საქართველოს ოსტატები მეკოკიშვილი და მაზური (ცირკის ყოფილი არტისტი), რომელთაც ოთხ-ოთხი წაგებული ქულა ჰქონდათ.

გადამწყვეტი იყო მეკოკიშვილისა და კოტკასის ჭიდაობა, რამაც ძალიან დაძაბულად და სწრაფი ტემპით ჩაიარა.

იოჰან კოტკასმა შეხვედრა მოიგო ანგარიშით 1:2 და მოიპოვა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელწოდება. ცირკის არენაზე კოტკასს გადაეცა ჩემპიონის მაისურა, დიპლომი და ძვირფასი საჩუქარი.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

ა მ ო მ რ ჩ ე ვ ე ლ თ ა ს ი ე ბ ი

სსრ კავშირის არც ერთ მოქალაქეს არ შეუძლია ისარგებლოს კანონის მიერ მისთვის მინიჭებული საარჩევნო უფლებით, თუ იგი ამომრჩეველთა სიაში შეტანილი არ არის. ამიტომ ამ სიების შედგენა წარმოადგენს მთელი საარჩევნო კამპანიის უაღრესად მნიშვნელოვან და პასუხსაგებ სტადიას. სიების შედგენის საუკეთესო ტექნიკას შეუძლია დაანქაროს და გააადვილოს იმ პირთა მუშაობა, ვისაც მინდობილი აქვს ეს საქმე, მაშინ როცა ყოველგვარი დაუდევრობა სიების შედგენაში, ყოველგვარი შეცდომა, ამომრჩევლის გვარის, სახელისა და მამის სახელის დამახინჯება პოლიტიკურ შედეგს იწვევს. მათ შეუძლიათ ის გამოიწვიონ, რომ ამომრჩეველს დაეკარგება შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემაში. ცხადია, რომ ამომრჩეველთა სიების შედგენა არის არა იმდენად ტექნიკური, რამდენადაც პოლიტიკური საქმე.

თუ ავიღებთ საარჩევნო პრაქტიკას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ქვეყნებისას, რომლებმაც ფორმალურად გამოაცხადეს ხელისუფლების უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების საყოველთაო არჩევნების პრინციპი, ძნელი არ იქნება დავრწმუნდეთ, რომ ამომრჩეველთა სიების შედგენას იქ იყენებენ გაბატონებული კლასების ინტერესებისათვის და მშრომელი მასების საზიანოდ. ხმარობენ ყოველგვარ ხრიკსა და ფანდს, რათა არჩევნებს ჩამოაშორონ ბურჟუაზიის თვალსაზრისით „არაკეთილსაიმედო" ელემენტები. ზოგ ქვეყანაში ეს კეთდება ოსტატურად, შენიღბულად, ზოგან კი—უფრო აშკარად.

უწინარეს ყოვლისა, ვინ ეკისრება იქ ამომრჩეველთა სიების შედგენა? ადგილობრივ ადმინისტრატიულ ორგანოებს, აგრეთვე პოლიციას, ხოლო პოლიციის როლი კარგად ცნობილია—ის მუდამ დგას შეძლებული კლასების ინტერესთა საგუშაგოზე ღარიბთა წინააღმდეგ, ძლიერთა მხარეზე—სუსტების წინააღმდეგ.

ინგლისში ამომრჩეველთა სიების შედგენაში დიდ როლს ასრულებს ეგრეთწოდებული საარჩევნო აგენტი. მის შრომას ანაზღაურებენ ის პირები, რომელნიც თავიანთ კანდიდატურას წამოაყენებენ თემთა პალატაში. ცხადია, რომ მდიდარ ბურჟუაზიულ პარტიას შესაძლებლობა აქვს უკეთ ანაზღაუროს საარჩევნო აგენტის შრომა. საარჩევნო აგენტი პირდაპირ არის იმით დაინტერესებული, რომ ამომრჩეველთა სიებში შეტანილ იქნას მისი კანდიდატის რაც შეიძლება მეტი მომხრე და მოწინააღმდეგე მხარის რაც შეიძლება ნაკლები მომხრე.

ასეთი წესის დროს, რასაკვირველია, ძნელია მოელოდეთ, რომ ამომრჩეველთა სიები აკმაყოფილებდნენ საყოველთაო არჩევნების მოთხოვნას.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ქვეყნებში საყოველთაო საარჩევნო უფლება შეკვეცილია ყოველგვარი შეზღუდვით: ბინადრობის ცენზით, ქონებრივი ცენზით და სხვ. წლევანდლამდე ინგლისში ამომრჩეველთა სიაში შესატანად საჭირო იყო ექვს თვეს ცხოვრება ერთ ადგილას. წლევანდელ არჩევნებში ბინადრობის ეს ცენზი შემცირებულ იქნა სამ თვემდე. მაგრამ ამ შეღავათის დროსაც ბევრმა პირმა, რომლებიც საომარი მოქმედებისა და საჰაერო დაბომბვის გამო იძულებულნი გახდნენ ევაკუირებულიყვნენ და გამოეცვალათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი, ვერ შესძლო საარჩევნო უფლებით სარგებლობა.

თუ ამას დავუმატებთ, რომ საარჩევნო სიების შემოწმება და მათში შეტანის სისწორის გამორკვევა ინგლისში მინდობილი აქვს კერძო ინიციატივას, რომ სახელმწიფო ნაკლებ ზრუნავს, რათა სიები შედგენილ იქნას სრულად და შეუცდომლად, მაშინ ნათელი გახდება, თუ როგორია საყოველთაო არჩევნების მექანიკა ამ უძველეს საპარლამენტო ქვეყანაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთოდ არ არსებობს ერთიანი საარჩევნო სისტემა მთელი ამ ქვეყნისათვის,—იქ თვითეულ შტატს საარჩევნო კანონში შეაქვს თავისი შესწორებანი. მაგალითად, არიან ისეთი შტატები, სადაც ამომრჩეველმა 2 დოლარი უნდა შეიტანოს ამომრჩეველთა სიების შედგენის ხარჯის დასაფარავად, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სიაში არ შეიტანენ. ეს შეზღუდვა აშკარად არის მიმართული უმუშევართა წინააღმდეგ, რომლებიც მილიონობით არიან.

ამომრჩეველთა სიების შედგენისადმი სრულიად სხვა დამოკიდებულებას იჩენს საბჭოთა საარჩევნო კანონი. არჩევნების დებულებაში ამ საკითხს მიძღვნილი აქვს მე-2 თავი. ამ თავის თორმეტ მუხლში ზუსტად და ნათლად არის ჩამოყალიბებული წესები, რომლებიც ამყარებენ სიების შედგენის ისეთ პრაქტიკას, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფს ამომრჩეველთა ინტერესებს და არჩევნების ნამდვილ საყოველთაო სახალხო ხასიათს. ეს წესები ძირითადად შემდეგია.

ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ 18 წლის ასაკის ყველა მოქალაქე, რომლებიც მუდმივად თუ დროებით ცხოვრობენ მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე და აქვთ საარჩევნო უფლება.

აქედან გამოდის, რომ შეშლილებისა და იმ პირების გამოკლებით, რომელთაც საარჩევნო უფლებები აყრილი აქვთ სასამართლოს განაჩენით, ყველა მოქალაქე აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი ამომრჩეველთა სიაში. თავისთავად იგულისხმება, რომ ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ ის პირები, რომლებიც ცხოვრობენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე, მაგრამ საბჭოთა მოქალაქენი არ არიან (იხ. არჩევნების დებულების მე-9 მუხლი).

ამომრჩეველთა სიებს ადგენენ ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, ქალაქის რაიონებში — რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, დაბებში — სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლადგილებში—მშრომელთა დეპუტატების სასოფლო ან სათემო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. ერთი სიტყვით, ამომრჩეველთა სიების შედგენის საქმე არის მუშურ-გლეხური ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საიმედო ხელში, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არიან არჩეულნი. უეჭველად ეს ფაქტია სიების შედგენაში მიუდგომლობის საიმედო გარანტია.

საჭიროა თუ არა, რომ ამასთან ამომრჩეველმა წარადგინოს რაიმე დოკუმენტი? არა, არავითარი დოკუმენტი საჭირო არ არის. საბჭოები ვალდებული არიან თვითონ შეადგინონ ამომრჩეველთა სიები საბინაო დავთრების, კოლმეურნეობათა წევრების სიების, სოფლის საკომლო წიგნების და დროებით მცხოვრებ პირთა სიების საფუძველზე. თვითეული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიები სდგება დამტკიცებული ფორმით და ალფაბეტური წესით. აღინიშნება ამომრჩევლის სახელი, მამის სახელი და გვარი, მისი ასაკი და საცხოვრებელი ადგილი. არავითარი სხვა მითითება (მაგალითად, ეროვნული კუთვნილების, სარწმუნოების, სოციალური მდგომარეობის და სხვათა შესახებ) საჭირო არ არის, იმიტომ რომ ამას არავითარი გავლენა მოქალაქის საარჩევნო უფლებაზე არა აქვს.

საარჩევნო სია მტკიცდება ამა თუ იმ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით და მას დოკუმენტის ძალა ენიჭება.

შეიძლება თუ არა ამ დოკუმენტში იქნეს შეცდომები? რასაკვირველია, შეიძლება შეგვხვდეს შეცდომები, ასოების გამოტოვება, სახელისა და გვარის დამახინჯება და სხვა ამგვარი ტექნიკური არასიზუსტენი. მაგრამ ასეთი შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას, იმიტომ რომ მათ შეუძლიათ მოქალაქეებს დაუკარგონ ხმის მიცემაში მონაწილეობის უფლება. ამიტომ კანონი ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომ ასეთი შეცდომები თავის დროზე იქნას გამოსწორებული. არჩევნების დებულების მე-18 მუხლი აწესებს, რომ ამომრჩეველთა სიები არჩევნებამდე 30 დღით ადრე გამოკრულ იქნას საყოველთაო გასაცნობად. მოსახლეობას უნდა მიეცეს სრული შესაძლებლობა გაეცნოს ამ სიებს იმისათვის, რომ ამომრჩევლებს შეეძლოთ თავის დროზე შეასწორონ შემჩნეული არასიზუსტენი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს 1937 წელს საბჭოები გაზეთებში აქვეყნებდნენ განცხადებებს, რომ ამომრჩეველთა სიები გამოკრულია ამა და ამ სადგომში და გასაცნობად ხელმისაწვდომია ამა და ამ საათებში. ამომრჩევლებს იწვევდნენ გამოცხადებულიყვნენ და შეემოწმებინათ, სწორად არიან ისინი შეტანილი საარჩევნო სიაში თუ არა. თითქმის ყოველ ამომრჩეველს თავის მოვალეობად მიაჩნდა შევლო საბჭოში ან აღნიშნული მისამართით, რათა პირადად დარწმუნებულიყო, რომ მისი გვარი, სახელი და მამის სახელი სწორად არის ჩაწერილი. ამისთვისვე ზრუნავდა მრავალი აგიტატორი და საარჩევნო კამპანიის აქტივისტი. საბჭოთა კავშირში, საპარლამენტო დემოკრატიის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ამომრჩეველთა სიების შემოწმება და შესწორება მინდობილი აქვს არა კერძო ინიციატივას, არამედ იგი საზოგადო, სახელმწიფო საქმეა.

საარჩევნო სიებში აღმოჩენილ შეცდომათა გასწორება მეტად მარტივად არის მოწყობილი. ყოველ მოქალაქეს, რომელმაც ამომრჩეველთა სიაში შენიშნა შეცდომა (სიაში მისი შეუტანლობა, გვარის არასწორად დაწერა და სხვ.), უფლება აქვს, თანახმად საარჩევნო დებულების 21-ე მუხლისა, ამის შესახებ განცხადება შეიტანოს იმ საბჭოს აღმასკომში, რომელმაც სია გამოაქვეყნა, ხოლო აღმასკომი ვალდებულია სამი დღის ვადაში განიხილოს ეს განცხადება და შეიტანოს სათანადო შესწორება.

ასეთი განცხადების „მიღება" შეუძლია საუბნო საარჩევნო კომისიასაც, რომელსაც თვითონ შეაქვს იგი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად. უარის თქმა ამომრჩევლის თხოვნის შესრულებაზე დასაბუთებულ უნდა იქნას წერილობითი სახით. ამომრჩეველს შეუძლია არ დაეთანხმოს აღმასკომის დასკვნას. ამ შემთხვევაში კანონი (დებულების 23-ე მუხლი) ამომრჩეველს უფლებას ანიჭებს საჩივარი შეიტანოს სახალხო სასამართლოში, რომელიც ვალდებულია საჩივარი განიხილოს სამი დღის ვადაში სასამართლოს ღია სხდომაზე და გამოიტანოს გადაწყვეტილება, რაც სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

ასე იცავს საბჭოთა საარჩევნო კანონი ამომრჩეველთა ინტერესებს და უზრუნველჰყოფს არჩევნების ნამდვილ საყოველთაო სახალხო ხასიათს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. შესაძლო შეცდომებისა და ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი საარჩევნო კამპანიის დროს 1937 წელს სსრ კავშირის ცაკ-მა საარჩევნო კანონის დამატებად განმარტების წესით გამოაქვეყნა სპეციალური დადგენილებანი.

მაგალითად, განმარტებანი გაკეთებული იყო შეშლილთა და იმ პირთათვის საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევის შესახებ, რომელთაც აქვთ გასამართლება და რომლებიც გამოძიებაში იმყოფებიან. საარჩევნო სიების შემდგენელმა ორგანოებმა, ამასთან უნდა იხელმძღვანელონ არა ხმებით, არა ცალკე პირების ლიტონი სიტყვით, არამედ სარწმუნო, აბსოლუტურად შემოწმებული ცნობებით: სასამართლო განაჩენის ასლით, ამა თუ იმ დაწესებულების ოფიციალური ცნობით, სათანადო სამედიცინო დაწესებულებათა სამედიცინო მოწმობებით და სხვ.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთში მომხდარი უკანასკნელი არჩევნების დროს ბევრი გართულება იყო ხმის მიცემაში იმ პირთა მონაწილეობის საკითხში, რომლებიც სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ (ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრმა შტატმა დააგვიანა საარჩევნო ბიულეტენების დაგზავნა მოქმედ არმიაში და ამით შესაძლებლობა წაართვა ბევრ სამხედრო მოსამსახურეს მონაწილეობა მიეღო ხმის მიცემაში).

საბჭოთა კანონი ამ საკითხს მეტად მარტივად და ნათლად სწყვეტს.

არჩევნების დებულების მე-16 მუხლში ნათქვამია: „სამხედრო ნაწილებსა და ჯარის შენაერთებში მყოფ ამომრჩეველთა სიები სდგება ნაწილის უფროსის ხელმოწერით. ყველა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურე ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს".

ეს დებულება სავსებით უზრუნველჰყოფს საყოველთაო ხმის მიცემაში სამხედრო მოსამსახურის მონაწილეობას, ბევრი მათგანი ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება. ისინი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში აირჩევენ განსაკუთრებული საარჩევნო ოლქების მიხედვით, რომლებიც შექმნილია წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის იმ ნაწილებსა და შენაერთებში, რომლებიც განლაგებული არიან სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ.

ბოლოს, ჩვენი საარჩევნო კანონი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს იმ პირებისადმი, რომლებიც იძულებული იყვნენ ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნებასა და არჩევნების დღეს შორის განვლილ დროს გამოეცვალათ თავიანთი ადგილსამყოფელი. დებულების მე-20 მუხლის თანახმად, ასეთ პირებს უფლება აქვთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტში მიიღონ „ხმის მიცემის უფლების მოწმობა". ამ შემთხვევაში ამომრჩეველთა სიაში კეთდება შენიშვნა: „წავიდა". ახალი (მუდმივი თუ დროებითი) საცხოვრებელი ადგილის პუნქტში ამომრჩეველი შეაქვთ ამომრჩეველთა სიაში ამ „მოწმობისა" და პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ.

თუ ამომრჩეველს, რომელმაც „ხმის მიცემის უფლების მოწმობა" მიიღო, რაიმე მიზეზით (ავადმყოფობა, გზაში დაგვიანება და სხვ.) არ შეუძლია ახალ ადგილას გამოცხადდეს საბჭოში, მაშინ მას არჩევნების დღეს უფლება აქვს მივიდეს პირდაპირ საარჩევნო სადგომში, სადაც „მოწმობის" წარდგენის შემდეგ დაშვებულ იქნება ხმის მისაცემად. ამ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიას თვითონ შეაქვს იგი ამომრჩეველთა სიაში, როგორც ამის შესახებ ნათქვამია არჩევნების დებულების 82-ე მუხლში.

სსრ კავშირში ამომრჩეველთა სიების შედგენის მთელი წესი გვიჩვენებს, რომ ჩვენი საარჩევნო კანონი საშიით უზრუნველჰყოფს უკლებლივ ყველა ამომრჩევლის მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში და რომ ჩვენი არჩევნები ნამდვილად საყოველთაო, მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული არჩევნებია.

პ. ტუმანოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმი. საორთქლმავალი დეპო. დეპოს მთ წინაშე, ორდენოსანმა მეშინჯანელ ნ. დარჩიამ და მეშინჯანელ ბ. ბსხილაძემ აკისრეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად 1946 წლის 10 თებერვლამდე თავიანთ ორთქლმავლათა 120 ათასი კილომეტრი გაიარეს უფრმნლად. სურათზე: ორდენოსანი მეშინჯანელ ნ. დარჩია თავის ორთქლმავლთან.

ფოტო ვ. გინზბურგისა

ელექტროენერგიის ეკონომიისათვის

ელექტროენერგიის მომგირნეობას, მის რაციონალურად გამოყენებას უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. პროდუქციის გამოშვების გაზრდის პირდაპირ არის დამოკიდებული ელექტროენერგიის გამოძენების დონეზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიმდინარე წლის 2 აგვისტოს მიიღო სპეციალური დადგენილება. საწარმოების მიერ ელექტროენერგიის მომგირნეობით ხარჯვის საკითხზე. ამ დადგენილებით საწარმოთა ხელმძღვანელებს დაეკვალთ განეხორციელებინათ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, კერძოდ, მათ დაკალებული ჭერნდათ ტრანსფორმატორების სიმძლავრე ზუსტად შეეფარდებინათ საწარმოს სამძლავრესთან, წესრიგზე მოეყვანათ შიდასაქარხნო ელექტროგაყვანილობა, საწარმოებთან აეგოთ საკუთარი სატრანსფორმატორო კიოსკები. მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ამ ღონისძიებათა განხორციელებას. უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში თბილისის საწარმოებმა დაზოგეს 1.473.660 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელმა ქარხანამ. აქ წინათ ედგათ 1.000-კილოვატიანი ტრანსფორმატორი. ქარხანა სრულ დატვირთვით მუშაობდა თუ არა, ელექტროენერგია ყოველთვის მთელი რაოდენობით იხარჯებოდა. ეს ტრანსფორმატორი შესცვალეს 640 და 320-კილოვატიანი ტრანსფორმატორებით, წესრიგზე მოიყვანეს შიდასაქარხნო ელექტროგაყვანილობა, რამაც ქარხანას საშუალება მისცა ხუთი თვის მანძილზე დაეზოგა 161.805 კილოვატსაათი ენერგია.

ელექტროენერგიის ეკონომიის მხრივ უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინო მიღწევები აქვს სტალინის სახელობის თბილისის ორთქმავალვაგონსარემონტო ქარხანას. თუ აქ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 216.800 კილოვატსაათი ენერგია გადახარჯეს, შემდგომ 5 თვეში მიღებულ ღონისძიებათა შედეგად დაზოგეს 180.700 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

თბილისის წყალკომბინატმა 560 კილოვატიანი ტრანსფორმატორი შესცვალა 320-კილოვატიანით და ხუთ თვეში 395.000 კილოვატსაათი ენერგია დაზოგა.

ელექტროენერგიის ეკონომიის ზაზით სრულიად საქართველოს შეჯიბრებაში თბილისის მაკარონის ფაბრიკა მესამე კვარტალში გამარჯვებული გამოვიდა და 5.000 მანეთი ჯილდო მიიღო. აქ უკანასკნელ ხუთ თვეში დაზოგილია 37.000 კილოვატსაათი ენერგია.

თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატმა სათანადო ღონისძიებების განხორციელებთან, წარმოების მუშაობის შეუფერხებლად ელექტროენერგიის ხარჯვის მნიშვნელოვან ეკონომიის მიღწევა. მიღწეულები აქვთ ამ დარგში აგრეთვე თბილისის № 1 ტყავის ქარხანას და მთელ რიგ სხვა საწარმოებს.

ელექტროენერგიის ეკონომის ბაღლასი გაეცალთან მეტი იქნებოდა, რომ საწარმოს ყველა ხელმძღვანელი სერიოზულად მოჰკიდებდა ამ საქმეს. ბევრმა საწარმომ არათუ შეამცირა, გაზარდა ელექტროენერგიის ხარჯვა. მაგალითად, თბილისის ძაფსართავამა ფაბრიკამ ექვსი თვის განმავლობაში გადაახარჯა 36.200 კილოვატსაათი ელექტროენერგია, თბილისის მაუდის ფაბრიკამ აგვისტოში, სექტემბერსა და ნოემბერში—92.800 კილოვატსაათი, თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკამ ორ თვეში—9.700 კილოვატსაათი.

საკუთარი სატრანსფორმატორო კიოსკების აგების შესახებ დადგენა ვერ შესრულეს საკონდიტრო ფაბრიკის, პლასტიკური რეზინის ქარხნის, ლითოგრაფიისა და სხვა საწარმოების ხელმძღვანელებმა. ასევე შეუსრულებელია ზოგიერთი საწარმოს მიერ შიდასაქარხნო ელექტროგაყვანილობის წესრიგზე მოყვანის ღონისძიება. ზოგ საწარმო-დაწესებულებაში ელექტროენერგიის დანაშაულებრივად ფლანგვაენ — უბიზნოდ ანთია ელნათურები დღისით, ხმარობენ ელექტროენერგიას.

ელექტროენერგიის ეკონომია დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო ამოცანაა. მისი წარმატებით განხორციელებისათვის თვითეული საწარმოს ხელმძღვანელი, პარტიული და პროფესიული შუშაკი უნდა ზრუნავდეს.

ს. ელიავა

თბილისელ მეავტობუსეთა ნარმატებანი

წარმატებით მუშაობს თბილისის სატვირთო-საავტომობილო უბნის კოლექტივი (უფროსი ბ. ძიძიგური). მეავტობუსეებმა ერთი თვით ადრე — 1 დეკემბრისათვის შეასრულეს ეგზონების წლიური საშუალო მეკეთების გეგმა 105,7 პროცენტით, ეგზონების კაპიტალური შეკეთების დაფალება — 103,3 პროცენტით, წლიური გასარჯვისა — 110,9 პროცენტით, ბოგიროწყვილების შეკეთებისა—118,7 პროცენტით, ავტომუხრუჭების შემოწმებისა — 108 პროცენტით.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს ეგზონების ახსნითი შეკეთების საამქროს სტახანოვცის ფურგლებმა ი. ონნიკაშვილმა, ი. ქელეიბერელმა, ა. ჯინჭარაძემ და ბრიგადირმა ა. ხუბულურმა. მათ ნოემბერში კაპიტალური შეკეთებიდან გეგმის გადამტვირთეთ გამოუშვეს 7 და საშუალო შეკეთებიდან 3 ეგზონი.

კარგი მუშაობით სახელი გაითქვეს ეგზონების სასვეული ნაწილების შეკეთებაში მომუშავე სტახანოვცელებმა ზეინკლებმა მ. მახნიშვილმა, ა. გახოვამ, ბ. ოსეფაშვილმა და მეეგზონეთა იმ ცვლამ, რომელსაც ფ. ჯვარშეიშვილი ხელმძღვანელობს. ამ ცვლას ამიერკავკასიის რაინიგზაზე ამკიდად მეორე ადგილი უჭირავს.

სახელგანთქმული მეტოვეკე ნ. ეგაგზაშვილი და მეკედელი ნ. ზინკოვსკი დაკალებებს ბუდან დიდი გადაკვარებით ასრულებენ.

სატვირთო-საავტომო უბნის ეგზონების, შემკეთებელმა პენტმმა ნაკლოლული სანიმუშო საამქროს პასპორტი მიიღო. ამ საამქროს ზეინკლები ვ. კუნაძე, გ. გეგაური, ი. კოპალოშვილი და მეკედელი გ. დავიდოვი საწარმოო გეგმებს სისტემატურად 300-350 პროცენტით ასრულებენ.

შ. ჭოჭუა

ტრაქტორისტთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

ახალი ვალდებულებანი

მახარაძე („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). მტს-ის მუშაკებმა გაეცნენ კრასნოდარის მხარის ნოვოტატარსკაიას რაიონის სტარო-მიმასტოეს მტს-ის კოლექტივის მიმართვას და ერთსულოვნად მოიწონეს. მახარაძელებმა იკისრეს ვადაზე 10 დღით ადრე დაამთავრონ ტრაქტორებისა და მისაბმელი, მანქანა-იარაღების რემონტი, გეგმის გადამეტებით შეაკეთონ ერთი ტრაქტორი, ალადგინონ და დაამზადონ 6 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები, წესიერად შეინახონ ტრაქტორები და მისაბმელი მანქანა-იარაღები, 20 ინვრამდე დაიკმაყოფილონ სატრაქტორო ბრიგადები და დაამთავრონ ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობა საგაზაფხულო სამუშაოების დასაწყებად.

მახარაძის მტს-ის მუშაკებმა სოციალისტური შეჯიბრებაში გამოწვევა ლენინგრადის მტს-ი.

ლ. ლოლაძე

დაგმდეხელობა კასუხი

კრასნოდარელთა მოწოდების პასუხად ლაგოდეხის მტს-ში (დირექტორი ა. შავლაყაძე) ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა. მტს-ის კოლექტივი მიზნად ისახავს ეადამდე მაღალი ხარისხით შესრულოს რემონტის გეგმები და სანიმუშოდ მოიმზადოს საგაზაფხულო თესვისათვის.

მოწონაეა მესამე სატრაქტორო ბრიგადა. 20 დეკემბრისათვის მან უკვე დაამთავრა რემონტი და ტრაქტორები გაიყვანა მინდვრად სამუშაოდ. თავი ისახეა მეოთხე კომკავშირულმა ბრიგადამაც. ტრაქტორისტმა გ. კვიტინაძემ 10 დღეში კაპიტალურად შეაკეთა ტრაქტორი. ასევე მეცამეტე ბრიგადა მუშაობს ტუდად.

შეკეთდა მტს-ის სახელოსნო, ელექტროგაყვანილობა, დაზგები. სახელოსნოს გამგემ კომუნისტმა ლ. კალმიჩუკმა და მეტორისტმა ი. კლიმენკომ ისე დადგეს ერთი დიზელი, რომ დაზგებსაც ამოძრავებს და სინათლესაც იძლევა. ამით მეორე დიზელი გასთავისუფლდა სხვადან გამოსაყენებლად, მუშახელი ნაკლებია საკირო, ხოლო ყოველდღიურად 50 კილოგრამით ნაკლები საწვავი იხარჯება.

სახელოსნო გადასულია სადღეღამისო მუშაობაზე. მიმდინარეობს 35 ტრაქტორის, მისაბმელი მანქანა-იარაღების, 2 კომბაინისა და 6 სალეწის რემონტი.

გრ. ნოზაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

რემონტს მაღე დაამთავრებენ

კაპრეთი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). მტს-ის მუშაკებს წინასაარნენო სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით დეკემბრის ბოლოდე 10 ტრაქტორი უნდა შეეკეთებინათ. ფაქტიურად 20 დეკემბრამდე 20 ტრაქტორი შეაკეთეს. კრასნოდარის მხარის ნოვოტატარსკაიას რაიონის სტარო-მიმასტოეს მტს-ის კოლექტივის მტს-ის კოლექტივის მოწოდების პასუხად მათ იკისრეს ახალი ვალდებულებანი, რომლებსაც წარმატებით ასრულებენ. მეთუე ბრიგადამ სამემოდგომო-საზაფხოო რემონტის გეგმა 200 პროცენტით შეასრულა. მეხუთე ბრიგადამ წელს რბილ ხეხნზე გადაყვანით 845,4 ჰექტარი მოხნა და 3.327 კილოგრამი საწვავი დაზოგა. საუკეთესოდ იმუშავა მეშვიდე ბრიგადამაც.

რემონტზე კარგად იმუშავეს ტრაქტორისტებმა: ი. სოლოდოვმელმა, ა. ჯაფაშვილმა, ა. ამბეფდიღლიმ, ი. ზიარეკაშვილმა, ა. ათაბეგაშვილმა, ა. გეთიაშვილმა, გ. ბურღულაძემ და ს. ადეიშვილმა.

მტს-ის მუშაკები იბრძვიან იმისათვის, რომ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების სამემოდგომო-საზამთრო რემონტი 15 იანვრისათვის დაამთავრონ.

ვ. ციხისთავი

გამოიწვიეს ხობის მტს-ი

ზუგდიდი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ზუგდიდის მტს-ის კოლექტივი ჩაება ტრაქტორისტთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში. მტს-ის მუშაკთა კრებაზე ახალი ვალდებულებები იკისრეს: ბ. გრიგოლავამ — მესამე ბრიგადის სახელით, ალ. ჯიქია — კომკავშირული ბრიგადის სახელით, სახელოსნოს უფროსმა მექანიკოსმა ვ. ბოლოშინმა, მეკედელმა ე. მეტბაევემ და სხვებმა.

მტს-ის მუშაკები აცხადებენ: ტრაქტორებსა და მისაბმელი მანქანა-იარაღების სამემოდგომო-საზაფხოო რემონტს „ფრიადზე“ და „კარგზე“ შეასრულებენ 15 იანვრისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ხობის მტს-ი.

ვ. ვეხხია

საკომდეურნეო საბავშვო ბაღი

დიდი ხანია მოწონავს სპპატიო სახელი აქვს მოპოვებული ლენინდუთის რაიონის სოფელ ლეწის მახარაძის სახელობის კოლეეურნეობას. აქ დროოფლად და მაღალხარისხოვნად სრულდება ჩაის, ციტრუსების, ტუნგის, ეკალიპტის და სხვა კულტურების სამუშაობა. ყოველდღიურად 400-მდე კოლმეურნე მუშაობს პლანტაციებსა და ყანებში. თითქმის ყველას აქვს გამომუშავებული საგალდებულო მინიმუმზე მეტი შრომადღე.

კოლმეურნეებს დიდ დახმარებას უწევენ საბავშვო ბაღი (გამგე ქეთო სარკველაძე), ალმრდელი მანია ფილასანი, დისსახლისი ნადია გალოგარე). 13 წლია, რაც ეს ბაღი განუწყვეტლივ მოქმედებს ზამთარშიც და ზაფხულშიც. ბაღში თითქმის ყოველთვის არის 60-მდე ბავშვი.

კოლმეურნეობამ ბაღს მოუწყო ოროთახიანი საუკეთესო სახლი, გაუკეთა საბარიული, გაუშენა 0,5 ჰექტარი ხეხილი. ბაღს აქვს ბოსტანიც, ჰყავს ორი მეწველი ძროხა, 3 ღორი და 40 ქათამი. კოლმეურნეობა სისტემატიურად ამარაგებს ბაღს თაფლით, ყველით, ხორცით, ბოსტეულით, ხილით და სხვა პროდუქტებით.

ბავშვები ბაღში მოპყავთ ზამთრის თვეებში დილის 9 საათზე, ახვა დროს კი 6-7 საათზე და საღამოდე სტოვებენ. კვება დაწესებულია დღეში სამჯერ.

ალმზრდელები ბავშვებს ესაუბრებიან საინტერესო საკითხებზე, ასწავლიან ძერწვას, სიმღერას, ლექსებს, ფოთლების შეგროვებას, ბუმბის თაბაშს, ტბომას, უკითხავენ გაზეთებს, ჟურნალებს „პიონერს“ და „ოგტობმბრელს“, ზოლაჩუს. ბავშვები ხშირად მიპყავთ სასეირნოდ.

საბავშვო ბაღთან არსებობს 5 წევრისგან შემდგარი მშობლიანი კომიტეტი, რომელიც მონაწილეობს სისუფთავის დაცვის, ნაკვეთების დამუშავებისა და სხვა საქმეებში.

კოლმეურნეები დაინტერესებული არიან, რომ მათმა ბავშვებმა აუცილებლად იარონ საბავშვო ბაღში. ეს მათ შესაძლებლობას უქმნის მეტი მონაწილეობა მიიღონ საკოლმეურნეო შრომაში. საბავშვო ბაღი რომ არ უფილიალო კოლმეურნეობაში, მარო კენქელია საუბრობა რომ რაც მონაწილეობას მიიღებდა საკოლმეურნეო შრომაში. წელს კი მან 370 შრომადღე გამომუშავა. ასევი ფაქტი მრავალია.

სოფელ ლეწის საბავშვო ბაღი კარგი მაგალითია რაიონის დანარჩენი კოლმეურნეობებისათვის.

ტ. თოდრაძე

კოლმეურნეობა მზად შეხვედ ზამთარს

ფოთი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეობა „ოგტობმბერი“ (თავმჯდომარე ა. ფდანია) ზამთარს მოამზადებული შეხვდა. ამ დროზე შეაკეთეს პირუტყვის 3 სადგომი, საკვებად მოიძარაგეს 1.800 ცენტნერი მაღალი ხარისხის თივა, 110.000 კონა ჩალა და კონცენტრირებული საკვები (ლობია, ხანინნდი). საქონლის მოვლელებად მუშაობენ კოლმეურნეები გ. ქოქუა და ი. ფეფოსაშვილი, რომლებსაც აქ დარგმი მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვთ.

კოლმეურნეობა ზრუნავს ციტრუსების სანიმუშო ბაღის გაფაზამთრებისათვის. პლანტაციებში 11.500 მეტრზე გაიყვანეს სარეტი ირიგები, ახალ ნაძოუნებს — 30.000 ძირს ბიწა შემოაყარეს, ხოლო ერთწლიანი ლიმონის შესანახავად ახალი ფარდული აეგეს. 3.500 ძირი ლიმონი და მანდარინი უკვე შეფუთულია. ციტრუსებს გამზაზამრებისათვის კარგად იმუშავეს ლ. დემანიან, ლ. ბეგოანიამ და ნ. ჯეკერელიან.

კოლმეურნეობა მზრუნველობით უკლის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს, მიმდინარეობს მათი გაწმენდა-შეკეთება. მანქანებს ზეთავენ და წვიმისაგან დაცულ ადგილას ინახავენ.

კოლმეურნეობის გამგეობა დაპირებული პარტორგანიზაცია (მდივანი ბ. ბუნია) წეიფელრმიელთა და ოგმგადამდეთა ოჯახებს ამარაგებენ შეთმინ, ფრეზონტებენ ბინებს და სხვ. ფემბილიოზებელ მეთრეტს ლ. ჭოჭუას ალ. ლ. კაკალეშვილს კოლმეურნეობამ ახალი ორთვალიანი ბინა აუშენა.

კოლმეურნეობა „ოგტობმბერი“ ყოველმხრივ მზად შეხვდა ზამთარს.

ვ. ფუფაბაიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

საკარიელის კ. ბ. (ბ) ყვარლის რაიონის პარტკომიტეტი. ფ. ბაიშელი, ნ. ზალაშვილი და ვ. ზანიძე დამოუკიდებლად მუშაობენ წყენეზე.

ფოტო რ. ბეროფისა

ახალგაზრდები

ბრიგადირ ივანე ციყელაშვილს გულს უხარებს თავის აღზრდილის წარმატებები. ხანგამოცდილ ბრიგადირ ციყელაშვილს ხოლმე გვერდით მიმუშავე ახალგაზრდებს.

დაზგასთან დამკლავებული მუშაობს ზეინკალი ოთარ მჭედლიშვილი. 1943 წლის დასაწყისში მოვიდა იგი ხაშურის საორთქლმავალო დეპოში. ბრიგადირმ ჩაბარეს. თავდაღვეე შეიყვარა ოთარი ივანეკ. დღეები გადიოდნენ. ოთარი ბრიგადირის დაბმარებით ზარდებოდა. პროფესიას ეუფლებოდა. მალე დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა. სულ ისე იყო ფიქრობდა, რომ ყველაფერში სახელოვანი ბრიგადირისაკენ მიებაძა. მალე გეგმების გადაჭარბებით შესრულება დაიწყო.

არასოდეს დაავიწყდება ოთარს ის დღე, როცა ლენინური კომკავშირის ბილეთი მიიღეს. ამის შემდეგ მეტი პასუხისმგებლობა იგრძნო, კომკავშირულ დავალებებს სანიმუშოდ ასრულებს. აქტივისტი გახდა. ახლა მას სეროიზული დავალება მისცეს—აგიტატორია.

ახლოვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXV წლისთავი. ოთარ მჭედლიშვილი ეუბნება ამ ორი თარიღის სასახელოდ შეხვედრისათვის. საწარმოო დავალებებს 200-300 პროცენტით ასრულებს.

— ჩამორჩენილთა რიგებში ყოფნა ყველაზეთს იყო სამარცხვინო, მით უმეტეს ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა უმაგალითო ღღმაცლთას განიცდის,—განაცხადა ერთი საუბრის დროს აგიტატორმა. ყველამ შეინშნა, თუ როგორ იმოქმედა ამ სიტყვებმა ზეინკალ ვახტანგ კაპანაძეზე. ის გაწითლდა და თავი ჩაღუნა, რადგან გეგმებს ვერ ასრულებდა, უდისციპლინო იყო.

აგიტატორს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია.—დაბარება და დარიგება ესაუბროდა კაპანაძეს,—გაიფიქრა მან.

ამაზე ბრიგადირს ესაუბრა. კომკავშირის კომიტეტის მდივანსაც სთხოვა, ერჩეა. შეისაწავლეს ვ. კაპანაძის მუშაობის პირობები, დაეხმარნენ. ახლა კაპანაძე გეგმებს 180-200 პროცენტით ასრულებს.

საორთქლმავალო დეპოს მოწინავეთა რიგებს ამშვენებენ კომკავშირელი მექანიკე სამსოფანი გარეგან ვალიევი, სოციალისტი საამქროს ზეინკალი რომან ბერეზოვი, „სტალინური გაწვევის დამკვრელის“ ნიშნით დაჯილდოებული ეფიმენ ბელოუსოვი და ოთარ ჩიტაძე, მეშინჯანის თანაშემწე ზოთა ნოზაძე. ისინი 10 დეკემბრიდან პირველად მიღწენ საარჩევნო ყუთებთან.

მოწინავეთა რიგებში არიან ახალგაზრდები ხაშურის სავაგონო დეპოშიც. ამ ყველა იცნობს „სტალინური გაწვევის დამკვრელის“ ნიშნოსანს ოთარ სამხარაძეს, რომელიც ახალგაზრდების ფრონტულ ბრიგადას ხელმძღვანელობს. მისი ბრიგადა ყოველთვის წარმატებით ასრულებს დავალებებს. მას არ ჩამორჩებიან ახალგაზრდა ფონიანურებული ბრიგადირები კარლო ქურდაძე და უშანგი ბაღრიაშვილი.

საელმავლო დეპოს კოლექტივში დიდი აგიტორატორი სარგებლობს მეშინჯანის თანაშემწე მიხეილ ტყვიშელაშვილი. იგი კვანძზე ერთ-ერთი საუკეთესო აგიტატორად ითვლება. თავდადებული და პატიოსანი შრომით მეელმავლეთა შორის აგიტორატეტი მოიხვეჭა მეშინჯანის თანაშემწეებმა. როსტომ ჭიპაშვილმა და მიხეილ ხინაკაძემ.

ეს ენერ ომის დღეებში დაკვალიფიცირებული ახალგაზრდები არიან—ჩვენი სამშობლოს ერთგული პატრიოტები. 1946 წლის 10 თებერვალს ახალგაზრდები საარჩევნო ყუთებთან მიეღენ, რათა ხმა მისცენ საბჭოთა სამშობლოს რჩეულ ადამიანებს.

ბ. ბელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

რომორ პეგარეგ საუბარს

როცა ჩემმა ცვლამ ღამის საათებში დაიწყო მუშაობა, ქარხნის პარტორგანიზაციამ იქ აგიტატორობა დამავალა. ეს იყო ოქტომბერში. პირველ ხანებში გამოძნელდა მუშაობა. ვერ შევძელი მეცადინეობის ორგანიზაცია, მსმენელები ვერ მიეგზიდე.

ჩემი ცვლა მუშაობას იწყებს საღამოს 5 საათზე. 8 საათზე სასადილოში შესვენება აქვს. გადაწყვეტე სწორედ ეს დრო გამომეყენებინა აგიტაციისთვის. პირველად ამბანაგური საუბრებით დავიწყე. რამდენიმე შეკითხვა დავსვი. ფუშები დაინტერესდნენ, ჩავბენენ საუბარში. ზოგიერთმა, რომელიც ფიქრობდა, ბევრი რამ ვიცი, კითხვებს პასუხი ვერ გასცა. მაშინ ეს თვით განვმარტე დასახული საკითხი. ამან გაზარდა მუშების ინტერესი.

ახლა საუბარში მთელი ცვლა აქტიურ მონაწილეობას იღებს, მსმენელები იძლევიან შეკითხვებს, მოკლეზეგენ ამა თუ იმ საკითხზე.

ცვლის მუშებმა უკვე შეისწავლეს არჩევნების დებულება. ვამოკლეთ ფონიანურ საკითხებზეც. ეს ხელს გვიწყობს დავალებათა წარმატებით შესრულებაში. ამბანაგები უფრო დისციპლინიანი გახდნენ.

აი, ერთი მაგალითი: ცვლის მუშა ტურეცკი უდისციპლინო იყო, სისტემატურად ვერ ასრულებდა დავალებას. საგაგიტაციო საუბრებმა ტურეცკის შეაფერხეს. ეს ადამიანი ბრიგადირის ესაუბრა. კომკავშირის კომიტეტის მდივანსაც სთხოვა ერჩეა. შეისაწავლეს ვ. კაპანაძის მუშაობის პირობები, დაეხმარნენ. ახლა კაპანაძე გეგმებს 180-200 პროცენტით ასრულებს.

საორთქლმავალო დეპოს მოწინავეთა რიგებს ამშვენებენ კომკავშირელი მექანიკე სამსოფანი გარეგან ვალიევი, სოციალისტი საამქროს ზეინკალი რომან ბერეზოვი, „სტალინური გაწვევის დამკვრელის“ ნიშნით დაჯილდოებული ეფიმენ ბელოუსოვი და ოთარ ჩიტაძე, მეშინჯანის თანაშემწე ზოთა ნოზაძე. ისინი 10 დეკემბრიდან პირველად მიეღენ საარჩევნო ყუთებთან.

მოწინავეთა რიგებში არიან ახალგაზრდები ხაშურის სავაგონო დეპოშიც. ამ ყველა იცნობს „სტალინური გაწვევის დამკვრელის“ ნიშნოსანს ოთარ სამხარაძეს, რომელიც ახალგაზრდების ფრონტულ ბრიგადას ხელმძღვანელობს. მისი ბრიგადა ყოველთვის წარმატებით ასრულებს დავალებებს. მას არ ჩამორჩებიან ახალგაზრდა ფონიანურებული ბრიგადირები კარლო ქურდაძე და უშანგი ბაღრიაშვილი.

საელმავლო დეპოს კოლექტივში დიდი აგიტორატორი სარგებლობს მეშინჯანის თანაშემწე მიხეილ ტყვიშელაშვილი. იგი კვანძზე ერთ-ერთი საუკეთესო აგიტატორად ითვლება. თავდადებული და პატიოსანი შრომით მეელმავლეთა შორის აგიტორატეტი მოიხვეჭეს მეშინჯანის თანაშემწეებმა. როსტომ ჭიპაშვილმა და მიხეილ ხინაკაძემ.

ეს ენერ ომის დღეებში დაკვალიფიცირებული ახალგაზრდები არიან—ჩვენი სამშობლოს ერთგული პატრიოტები. 1946 წლის 10 თებერვალს ახალგაზრდები საარჩევნო ყუთებთან მიეღენ, რათა ხმა მისცენ საბჭოთა სამშობლოს რჩეულ ადამიანებს.

ბ. ბელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ზაზა ბეგიაშვილი

თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის მეშინჯანელი საამქროს ცვლის ოსტატი, ავანგარდისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაჩენი მიხაილოვიჩის ბანდების 34 მონაწილის საქმეზე

ბელგრადი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ბელგრადის რადიო გადმოგვცემს, რომ დღეს ლიუბლიანაში სამხედრო სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი ხალხის 34 გამცემის—სლოვენიაში მიხაილოვიჩის ბანდების ორგანიზატორების საქმეზე. ხუთ კაცს ჩამოხრჩობა მიესაჯა, 12 კაცს — დახვრეტა, დანარჩენებს — პატიმრობა 8-დან 20 წლამდე. ერთი კაცი გაამართლეს.

ლიუბლიანისა და სლოვენიის მოსახლეობა მხურვალედ მიესალმა სამხედრო სასამართლოს ამ სამართლიან განაჩენს.

საპროტესტო მიტინგი ათენში საბერძნეთის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ

ათენი, 24 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ათენში გაიმართა ეროვნული წინააღმდეგობის პარტიების მიერ მოწყობილი გრანდიოზული მიტინგი. არა მარტო ტრიბუნები სტადიონისა, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა, არამედ მთელი ახლო-მახლო ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. ყველა პლაკატს ეწერა ლოზუნგები: „თავისუფლება წინააღმდეგობის მებრძოლთ!", „საერთო პოლიტიკური ამნისტია!", „წარმომადგენლობითი მთავრობა!". ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის (ეამის), სახალხო დემოკრატთა კავშირის (ელდის) და კომპარტიის წარმომადგენლებმა სიტყვებით მიმართეს შეკრებილთ, ამასთან მოუწოდეს მათ არ შესწყვიტონ ბრძოლა, სანამ წინააღმდეგობის მოძრაობის ყველა დაპატიმრებული მონაწილე საპყრობილეებიდან არ გამოვა.

— სამარცხვინოა, — განაცხადა ელდის გენერალურმა მდივანმა ცირიმოკოსმა, — რომ განთავისუფლების 14 თვის შემდეგ ბერძენი ხალხი იძულებულია მოითხოვოს თავისუფლება იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც საბერძნეთი გაათავისუფლეს.

კომპარტიის წარმომადგენელმა სანტოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბერძნეთი განიცდის ახალ ღრმა კრიზისს, რომელიც შეიქმნა იმით, რომ სოფულისის მთავრობას უნარი არ შესწევს დემოკრატიული გზით გადასჭრას ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანები. ეამისა და ხალხის მიერ დათმობას, — სთქვა მან, — არაფერი არ მოჰყვა და უნდა შესწყდეს. სანტოსმა მოითხოვა საბერძნეთის საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის შეწყვეტა და წარმომადგენლობითი მთავრობის შექმნა იალტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

სანტოსი შეეხო ფაშისტურ ტერორს და განაცხადა: „ჩვენ არა გვსურს დავემუქროთ ვინმეს, მაგრამ თუ მთავრობა ვერ შესძლებს უზრუნველჰყოს ჩვენი უშიშროება, ჩვენ ამას თვითონ გავაკეთებთ მასობრივი თავდაცვით".

ორატორების სიტყვებს ყოველთვის თან ახლდა შეძახილები: „ამნისტია, წარმომადგენლობითი მთავრობა", „ძირს ფარისევლთა მთავრობა".

დასასრულ წაკითხულ იქნა ხოჯიკოსტას და ავეროვის საპყრობილეებში დაპატიმრებულების მისასალმებელი წერილები. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქნას აბუჩად ამგდები კანონი „საპყრობილეთა განტვირთვის" შესახებ, სავსებით ცნობილ იქნას წინააღმდეგობის მოძრაობა და მისი მოქმედება, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს დეკემბრის წინააღმდეგობის მონაწილეთა ამნისტია, გაუქმდეს ფაშისტური კანონები, რომლებიც ზღუდავენ მოქალაქეთა თავისუფლებას, გამცემთაგან გაიწმინდოს სასამართლოს ორგანოები.

მიტინგთან დაკავშირებით ათენის გარნიზონის ნაწილები და სამხედრო გემების ეკიპაჟები მოყვანილ იქნენ საბრძოლო მზადყოფნაში, ჩვეულებრივი საკვირაო შვებულებები გაუქმებულ იქნა. მიტინგში მონაწილეობის მიღება აუკრძალეს ყველა სამხედრო მოსამსახურეს.

ინგლისის პროფკავშირული დელეგაცია კიტლერელთა ახლანდელი როლის შესახებ რურში

ლონდონი, 22 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის პროფკავშირულმა დელეგაციამ, რომელიც გერმანიაში იყო, ინგლისს დაბრუნების შემდეგ 19 დეკემბერს ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალურ საბჭოს მოხსენება წარუდგინა, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია:

„დელეგაციამ აღმოაჩინა — განსაკუთრებით რურში უდიდესი გულისწყრომაა იმასთან დაკავშირებით, რომ ნაცისტებს კვლავ იყენებენ ადმინისტრაციულ პოსტებზე. ამის შედეგი იყო საკონცენტრაციო ბანაკებიდან და საპყრობილეებიდან დაბრუნებულ ადამიანთა აბუჩად აგდება. მეორე მხრივ დელეგაციას აცნობეს, რომ თუ აპარატიდან დაითხოვენ ნაცისტური პარტიის ყველა ყოფილ წევრს, ზოგიერთი ადმინისტრატიული ორგანო დაჰკარგავს თავისი შტატის ფრიად მნიშვნელოვან პროცენტს. დელეგაციას შეატყობინეს, რომ მიღებულია ზომები, რათა რაც შეიძლება მალე მოიშორონ აქტიური ნაცისტები. მაგრამ დელეგაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანიის პროფკავშირულ ლიდერებს არ აკმაყოფილებს არსებული მდგომარეობა".

საბერძნეთმა სცნო იუგოსლავიის რესპუბლიკა

ლონდონი, 24 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ათენიდან იუწყება, იქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ საბერძნეთმა სცნო იუგოსლავიის რესპუბლიკა.

რეიტერის სააგენტო პარტიზანული მოძრაობის შესახებ ესპანეთში

ლონდონი, 24 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" მადრიდელი კორესპონდენტის ცნობას, რომ ესპანეთის მთებში მოქმედებენ ესპანელი პარტიზანები, რომელთა რიცხვი განუწყვეტლივ მატულობს.

პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილე ერთ-ერთი ჟანდარმის სიტყვით, პარტიზანები კარგად არიან შეიარაღებულნი. მთელ რიგ პუნქტებში ისინი მოქმედებენ მთებში, რომლებიც მადრიდს დაშორებულია სულ ზევრი 40 მილით.

მრავალ სოფელში პარტიზანები თავს ესხმიან პოლიციის გარნიზონებს.

„გარდა იმისა, რომ ჩვენ არახელსაყრელ მდგომარეობაში ვიმყოფებით შეიარაღების მხრივ, — სთქვა ამ ჟანდარმმა, — ჩვენ არახელსაყრელ მდგომარეობაში ვიმყოფებით იმის გამო, რომ ადგილობრივი მოსახლეობა პარტიზანებს ეხმარება. ხანდახან ჩვენ ბრძოლებში ვიყავით ზედიზედ 9 ან 10 საათს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მუდამ უკანდახევა გვიხდებოდა, რადგან პარტიზანებს უეჭველი უპირატესობა აქვთ ადამიანებისა და შეიარაღების მხრივ".

ირანის გაზეთები მუშების მდგომარეობის შესახებ ისპაჰანში

თეირანი, 22 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „ზაფარი" 19 დეკემბერს სწერდა, რომ ამჟამად ისპაჰანში ანტიდემოკრატიული წესები არსებობს. ყოველ ფაბრიკაში დაქირავებული ჰყავთ ხულიგნების რაზმი, რომლებსაც მეფაბრიკეები დიდ ფულს აძლევენ. ეს რაზმები აწიოკებენ მუშებს. ისინი სცემენ აგრეთვე ფოსტალიონებს, რომლებსაც პროგრესული გაზეთები დააქვთ. ისპაჰანში დემოკრატიული გაზეთების წაკითხვა იდევნება. მუშებს ჯამაგირიდან მათი სურვილის წინააღმდეგ უქვითავენ 10 პროცენტს პოლიციის მიერ შექმნილი მუშათა და მეწარმეთა ყალბი კავშირის სასარგებლოდ. სწორედ ამ ფულიდან აძლევენ ქირას ხულიგნებსა და მკვლელებს. გარდა ამისა, ნის ტრიალისა, ეწყობა სხვადასხვანაირი პროვოკაციები; ცდილობენ მუშებს არ შეატყობინონ ის ამბები, რაც ირანში და მის ფარგლებს გარეთ ხდება. ასობით მუშა დაითხოვეს ფაბრიკებიდან იმისათვის, რომ ისინი იყვნენ პროფკავშირებში და დემოკრატიულ ორგანიზაციებში, რომლებიც რეაქციონერებმა 9 თვეზე მეტი ხნის წინათ დაარბიეს. გაზეთმა „რახბარმა" 19 დეკემბერს გამოაქვეყნა 150 ისპაჰანელი მუშის წერილი, რომლებიც სწერენ, რომ მათ 9 თვის განმავლობაში არათუ სამუშაოს არ აძლევენ, არამედ ყოველნაირადაც სდევნიან და აბუჩად იგდებენ.

მდგომარეობა ირანის აზერბაიჯანში
ირანელ გენერალ დარახშანის განცხადება

თეირანი, 22 დეკემბერი. (საკდესი). თეირანის გაზეთმა „რახბარმა" 18 დეკემბერს გამოაქვეყნა ტექსტი გაზეთ „ფერმანის" რედაქტორის საუბრისა თავრიზში მყოფი ირანული დივიზიის მეთაურთან გენერალ დარახშანისთან. დივიზიის ოფიცრებმა, როგორც რედაქტორს დარახშანიმ განუცხადა, თავიანთ თათბირზე ერთსულოვნად გამოსთქვეს ის აზრი, რომ დამორჩილებოდნენ ირანის აზერბაიჯანის მთავრობას. დარახშანიმ კატეგორიულად უარჰყო რეაქციული ელემენტების მიერ თეირანში გავრცელებული ჭორები, თითქოს მოსახლეობა მხარს არ უჭერს დემოკრატიულ მოძრაობას აზერბაიჯანში. დემოკრატიული პარტიის წევრებს შორის, — განაცხადა მან, საზოგადოების სხვადასხვა ფენების მრავალი წარმომადგენელია.

საფრანგეთის არმიის რაოდენობა

პარიზი, 24 დეკემბერი. (საკდესი). 22 დეკემბერს შემდგარ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა საფრანგეთის არმიის რეორგანიზაციას, რაც ამჟამად მიმდინარეობს, ინფორმაციის სამინისტროს წარმომადგენელმა მოიყვანა ცნობები საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობის შემცირების შესახებ. არმიის (სახმელეთო ძალების) საერთო რაოდენობა განსაზღვრულია 500 ათასი კაცით (აქედან 105 ათასი მეტროპოლიაში, 100 ათასი—ჩრდილოეთ აფრიკაში, 120 ათასი—გერმანიის ოკუპაციის საფრანგეთის ზონაში, 120 ათასი—კოლონიებსა და შორეულ აღმოსავლეთში, ჟანდარმერია—55 ათასი).

შეიარაღებული ძალების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის თათბირზე საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიცხობრივი შემადგენლობა განსაზღვრულია 65 ათასი კაცით. 1 თებერვლამდე არმიიდან დემობილიზებულ იქნება 100 ათასი კაცი. გარდა ამისა, უახლოესი 3-4 თვის განმავლობაში დემობილიზებულ იქნება დაახლოებით 25 ათასი ოფიცერი. ამავე თათბირზე განაცხადეს, რომ ინდო-ჩინეთში ამჟამად 25 ათასი ფრანგი ჯარისკაცი იმყოფება. თათბირის ერთ-ერთმა მონაწილემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ფრანგების 70 პროცენტი „ხალხთან დაკავშირებული" არმიის შექმნის მომხრეა.

საფრანგეთის არმიის რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას ოფიციალურად ასაბუთებენ დიდი მატერიალური სიძნელეებით, რასაც საფრანგეთი განიცდის.

ახალი მემარჯვენე დაჯგუფების შექმნა საფრანგეთში

პარიზი, 24 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის დამფუძნებელი კრების 35 უკიდურესმა მემარჯვენე დეპუტატმა შექმნა ახალი პოლიტიკური დაჯგუფება, რომელსაც მათ „თავისუფლების რესპუბლიკური პარტია" უწოდეს. ამ დაჯგუფების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები არიან დეპუტატები, რომლებიც ეკუთვნოდნენ საპარლამენტო ჯგუფს „იუნიტე რეპუბლიკენს". ამ ჯგუფს სათავეში ედგნენ რამარონი, მიუტერი და ლეჟანდრი. რამარონი პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა და განცხადება გააკეთა ახალი პარტიის ამოცანების შესახებ. როგორც ამ განცხადებიდან სჩანს, იგი ნაციონალიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძოლებს.

ამავე პრეს-კონფერენციაზე გამოსულმა ანდრე მიუტერმა სთქვა, „ახალი პარტია მთელ ეროვნულ რესპუბლიკურ ოპოზიციურ ძალებს გააერთიანებსო".

სოციალისტური პარტია უკმაყოფილოა თავისი დეპუტატების პოზიციისა საკონსტიტუციო კომისიაში

პარიზი, 24 დეკემბერი. (საკდესი). გადაწყვეტილებანი დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიისა, რომელსაც სათავეში უდგას სოციალისტი ანდრე ფილიპი, ახლა თვით სოციალისტურ პარტიაშიც კი იწვევენ უკმაყოფილებას. დამფუძნებელი კრების სოციალისტური ჯგუფის 22 დეკემბერს შემდგარ სხდომაზე კომისიის გადაწყვეტილებანი სოციალისტი დეპუტატების ნაწილმა სერიოზულად გააკრიტიკა. სოციალისტი დეპუტატების ჯგუფმა სოციალისტური პარტიის სასწრაფო ყრილობის მოწვევაც კი მოითხოვა. სხდომაზე, სხვათა შორის, აღინიშნა ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო კომისიაში ფაქტიურად შეიქმნა სოციალისტების ბლოკი „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" (მრპ) პარტიასთან, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სოციალისტურ პარტიას მომავალ არჩევნებში.



თბილისი. შოთა რუსთაველის ძეგლი.

ფოტო რ. აკოფოვისა

მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

ბათუმი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ფერწერის ოსტატთა შემოქმედების ფართო მასებისათვის გაცნობის მიზნით აჭარის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გადასწყვიტა რეგულარულად მოაწყოს ცნობილი ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა.

პირველი გამოფენა გაიხსნა 16 დეკემბერს მასწავლებლის სახლში. იგი მიეძღვნა ახალგაზრდა მხატვრების— მარგალიტა და შოთა მეტრეველების შემოქმედებას. წარმოდგენილი იყო 200-ზე მეტი სურათი. გამოფენაზე მთავარი ადგილი დაიკავეს სამამულო ომის პერიოდში შექმნილმა სურათებმა—„ოკუპირებულ სოფელში", „ფაშისტთა მხეცობა" და სხვ.

ახლო ხანში მოეწყობა პროფესორების მ. თოიძისა და დ. კაკაბაძის ნამუშევართა გამოფენა.

ხელოვნების ქრონიკა

ზესტაფონის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად უჩვენა გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა". სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. ჯინჭარაძემ, მხატვრულად გააფორმა დ. დუგლაძემ.

პრემიერა მაყურებელმა მოიწონა.



თბილისი. რუსთაველის სახელობის კინოთეატრი.

ფოტო რ. აკოფოვისა

ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი
ახალი სასტუმრო

ლენინისა და აგარაკის ქუჩების კუთხეში მთავრდება ორსართულიანი შენობა. სახლის ზედა სართულის 12 ოთახში სასტუმრო ეწყობა.

ელექტროსადგურის გაფართოება

ცენტრალურ ელექტროსადგურში დაიდგა ახალი ძრავი, რითაც მისი სიმძლავრე ერთიორად გაიზარდა. ამასთან დაკავშირებით ქალაქში ელექტროგაყვანილობის ქსელი 25 პროცენტით გაფართოვდა. ახლა ელდენზე, მუშაობენ ადგილობრივი მრეწველობის საავეჯო, ტრიკოტაჟისა და სახერხი ქარხნები, წისქვილი და აბანო.

ქუჩების მოასფალტება

დაწყებულია მარქსის, ლენინის, სტალინის და ბერიას ქუჩების მოასფალტება. საჭირო მასალა მიზიდულია ადგილზე. სამუშაოს დამთავრება გათვალისწინებულია იანვარში.

თეატრის მუშაობა განახლდა

ორი თვეა, რაც მუშაობა განაახლა ადგილობრივმა თეატრმა. დაიდგა „ქრისტინე", „ხევისბერი გოჩა", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" და „შესაფერი ჯილდო". დასმა, რომლის ხელმძღვანელია ს. ალაზნისპირელი, წარმოდგენები გამართა აგრეთვე ნიგოითში, ნიგვზიანში, სუფსაში, ლესაში, ჯურუყვეთში, აცანასა და აკეთში.

პარკის კეთილმოწყობა

რაიონის ცენტრში 3 ჰექტარზე ეწყობა ახალი პარკი. პარკში რგავენ დეკორატიულ მცენარეებს: პალმებს, დაფნას, კვიპაროზს, ტუიას, კრიპტომერიას, ალვისხეს და სხვ. მთავრდება ყორის შემოვლება და გზების გაყვანა. კეთილმოწყობის სამუშაოებს ძირითადად მუშა-მოსამსახურეები ასრულებენ.

ათწლედის შენობა

ნიგვზიანში დაიწყეს ათწლედის ახალი შენობის აგება, რომელიც ხარჯთაღრიცხვით ნახევარი მილიონი მანეთი დაჯდება. საჭირო ქვა და აგური მიტანილია ადგილზე.

კლუბის მშენებლობა

ჯურუყვეთსა და ქვიანში კოლმეურნეობები ამთავრებენ სასოფლო კლუბის მშენებლობას. კლუბი დაიტევს 500-მდე კაცს. იქვე მოეწყობა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, წითელი კუთხე, კინოდარბაზი და სხვ.

წყაროს წყლის გამოყვანა

სოფელ ქვიანის კოლმეურნეობის ინიციატივით სოფელში 2 კილომეტრის სიშორიდან გამოიყვანეს წყაროს წყალი. შორი მანძილიდან წყაროს წყალი გამოიყვანა აგრეთვე ლანჩხუთის მტს-მა.

ტყიბულის თეატრში

ლ. პ. ბერიას სახელობის ტყიბულის სახელმწიფო თეატრმა სეზონის მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ა. ცაგარლის კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". როლებში გამოვიდნენ მსახიობები: ლ. კახიძე, გ. გორდაძე, ი. აბესაძე, შ. ფულარიანი, დ. ბარკალაია, ნ. ქათამაძე, მ. აჭარიძე და თ. გარდაფხაძე.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. გორდაძემ, მხატვრულად გააფორმა შ. სიდამონ-ერისთავმა.

კახეთის არტეზიული წყლების გამოყენების საკითხისათვის

კახეთში წყლის სიმცირე ძველთაგანვეა ცნობილი. ალაზნის ველზე მჭიდრო მოსახლეობა კარგი სასმელი და სამეურნეო წყლის ნაკლებობას განიცდის. მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს, კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, როგორც შიდა, ისე გარეკახეთში უწყლობის გამო დიდი ზარალი მოსდით. მართალია უკანასკნელ წლებში გაყვანილ იქნა მრავალი წყალსადენი, მაგრამ მზარდი მეურნეობა მოითხოვს წყალმომარაგების კიდევ უფრო მეტი ტემპით ზრდას. ამისათვის კი საჭიროა წყლის ახალი რესურსების შესწავლა.

1943 წელს წამოყენებულ იქნა მოსაზრება ალაზნის არტეზიული აუზის არსებობის შესახებ. ჩატარებულმა ჰიდროგეოლოგიურმა კვლევამ ბრწყინვალედ დაადასტურა ეს ვარაუდი. ამჟამად ნათელია, რომ შიდაკახეთში, ალაზნის ველის მარჯვენა სანაპიროებზე ძლიერი არტეზიული აუზი გვაქვს. ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს სადიებო ჭაბურღილები, რომლებიც გაჭრილ იქნენ ქ. გურჯაანში, სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე, ამავე სოფელში კოლმეურნეობა „გუთნის" ტერიტორიაზე, წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში ნასამხრალის უბანზე, ქ. თელავში, სოფელ კოლოთში, კოლაგში, კაჭრეთში და სხვ.

გამოირკვა რომ შიდა კახეთში არტეზიული წყალი დაკავშირებულია ეგრეთ წოდებული ალაზნის სერიის ნაფენებთან, რომლებიც შეადგენენ კახეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდს. ამ ნაფენების სისქე 1-1,5 კილომეტრს აღწევს და წარმოდგენილია ფხვიერი ნარიყალის, ქვიშების და თიხის ფენების მორიგეობით. ნაფენები დაქანებულია ქედიდან ალაზნის ველისაკენ და იძირება ველზე მეოთხეული ნაფენებქვეშ. მრავალი მცირე სიდიდის ხევი, რომელიც ჩამოედინება კახეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე, ჰკვეთს რა ამ ნაფენებს, ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს ზედაპირული წყლების ფხვიერი ნარიყალის ფენებში ჩაჟონვისათვის. ზედაპირული წყალი, ჩაიჟონება რა ფხვიერ წყალგამტარ ქანებში, რომლებიც მოქცეულია წყალგაუვალ თიხიან ქანებს შორის, მიედინება ნაფენთა დაქანების მიმართულებით, ე. ი. ალაზნის ველისაკენ. ამგვარად, ეს წყლები, მოქცეულნი წყალგაუვალ ფენათა შორის, ალაზნის ველზე ხასიათდებიან სათანადო წნევით, რომელსაც ისინი ბურღილებში მიწის ზედაპირზე ამოჰყავს. არტეზიული ჰორიზონტები, გარდა ამისა, იკვებება აგრეთვე ატმოსფერული ნალექებით და კონდენსაციური წყლებით. მაგრამ კვების მთავარ ფაქტორს ზედაპირული წყლები უნდა შეადგენდნენ.

ჩამოთვლილი ბურღილებით, რომელთა სიღრმე 150-300 მეტრის ფარგლებში მერყეობს, გადაკვეთილ იქნა რამდენიმე არტეზიული ჰორიზონტი. მაგალითად, გურჯაანის ბურღილმა, რომლის სიღრმე 181 მეტრს უდრის, სამი არტეზიული ჰორიზონტი გადაკვეთა, ჩუმლაყის პირველმა ბურღილმა — ორი, მეორე ბურღილმა — ერთი, კოლაგის ბურღილმა — ერთი, წინანდლის ბურღილმა — ერთი და ასე შემდეგ. აშკარაა, რომ არსებული არტეზიული ჰორიზონტების რაოდენობა არ განისაზღვრება ბურღილებით გადაკვეთილთა რიცხვით. მათი რაოდენობა დიდი უნდა იყოს. ამის დასადასტურებლად საჭიროა ახალი ბურღილების გაყვანა.

დებიტი არტეზიული ბურღილებისა, რომელთა დიამეტრი 63-73 მილიმეტრს არ აღემატება, ცვალებადია. მაგალითად ჩუმლაყის პირველი ბურღილის ხარჯი უდრის 8-9 ლიტრს წამში, გურჯაანის ბურღილისა — 7 ლიტრს, თელავისა — 0,6 ლიტრს. ჭაბურღილების დებიტის გაზრდა შეიძლება ერთის მხრივ არტეზიული ჰორიზონტების მეტი რაოდენობით კადაკვეთის და მეორე მხრივ მათი დიამეტრის გადიდების გზით.

არტეზიული წყლები კარგი ხარისხისაა. მაგალითად, მშრალი ნაშთის რაოდენობა ერთ ლიტრ წყალში 0,3 — 0,8 გრამს არ აღემატება. მავნე მინარევები წყალში არ მოიპოვება. წყლის ტემპერატურა ცვალებადია იმის მიხედვით, თუ რა სიღრმეზე კვეთთ არტეზიულ ჰორიზონტს. მაგალითად, თელავის ბურღილი წყალს 100 მეტრის სიღრმიდან იძლევა. მისი ტემპერატურა 12 გრადუსს უდრის. ჩუმლაყის პირველი ბურღილი 240 მეტრის სიღრმიდან გვაძლევს წყალს. მისი ტემპერატურა 18 გრადუსია. არტეზიული წყლების რეჟიმი როგორც ერთი წლის დაკვირვებამ გვიჩვენა მყარია და არ უნდა მოველოდეთ წყლის დებიტისა ან ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მკვეთრ ცვლილებას.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შიდაკახეთის ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე არსებობს მძლავრი არტეზიული აუზი მტკნარი კარგი ხარისხის წყლის მდიდარი რესურსებით. ეს არტეზიული აუზი გამოყენებულ უნდა იქნას მოსახლეობის წყლით მომარაგებისათვის. ამისათვის საჭიროა უკვე გამოკვლეულ უბნებში თელავიდან სოფელ კოლაგამდე გაიჭრას საექსპლოატაციო ბურღილები და სწრაფი ტემპით გაგრძელდეს შეუსწავლელ უბანთა ჰიდროგეოლოგიური კვლევა.

არ შეიძლება ხაზი არ გაუსვათ იმ გარემოებას, რომ არტეზიული წყლების ალაზნის აუზი შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მარტო მოსახლეობის წყლით მომარაგებისათვის. არტეზიული წყლებით შეიძლება მოირწყოს ალაზნის ველის ურწყავი ფართობები ალაზნის არხის სამხრეთ-დასავლეთით. ამ ფართობის რაოდენობა, რომლის მორწყვა შესაძლებელია არტეზიული წყლებით, ქ. თელავსა და გურჯაანს შორის 15.000—20.000 ჰექტარს უდრის. თუ რამდენად ხელსაყრელი და საჭიროა ამ ფართობების მორწყვა, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გამოცდილებით, რომელმაც, მიიღო რა არტეზიული წყალი, 1945 წელს მორწყო თავისი ფართობებიდან 40—50 ჰექტარი მიწა და ურწყავ ფართობებთან შედარებით 30—35 პროცენტით მეტი მოსავალი მიიღო.

ამრიგად, ჩვენ არტეზიული წყლების გამოყენებით ალაზნის ველის ძვირფასი ურწყავი ფართობების მორწყვის საშუალება გვაქვს.

ამჟამად ჰიდროგეოლოგიურ კვლევას ალაზნის ველზე საქართველოს გეოლოგიური სამმართველო აწარმოებს, მაგრამ ის მოწოდებული არ არის ჩაატაროს საექსპლოატაციო ბურღილების გაყვანა. საჭიროა უკვე გამოკვლეულ უბნებში საექსპლოატაციო ბურღილების გაყვანისათვის შეიქმნას სათანადო ორგანიზაცია, რომელიც დაიჩქარებს ამ ძვირფასი წყლის რესურსის გამოყენებას. ასევე საჭიროა დამუშავდეს საკითხი ალაზნის ველის ურწყავი ფართობის მორწყვისა არტეზიული წყლების ბაზაზე.

უფროსი ინჟინერ-გეოლოგი **ი. ბუაჩიძე**

ფ ე ხ ბ უ რ თ ი
„ცდკა"-ს მატჩი იუგოსლავიის გუნდ „კრასნაია ზვეზდასთან"

კვირას, 23 დეკემბერს, ბელგრადში მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელთა გუნდი შეხვდა იუგოსლავიის ცნობილ გუნდს „კრასნაია ზვეზდას".

მატჩის პირველი წუთებიდანვე საბჭოთა ფეხბურთელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მთელი 45 წუთის განმავლობაში უტევდნენ იუგოსლაველთა კარს. „კრასნაია ზვეზდას" მცველებმა, განსაკუთრებით მეკარემ, დიდი ენერგია დახარჯეს, რათა მოეგერიებინათ საბჭოთა ფეხბურთელების იერიშები. მიუხედავად ამისა, „ცდკა"-ს თავდამსხმელებმა მაინც შესძლეს მოწინააღმდეგის კარში გაეტანათ ორი ბურთი. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 2:0 „ცდკა"-ს სასარგებლოდ.

მეორე ნახევარი დაიწყო მასპინძელთა იერიშებით. მე-20 წუთია. „ცდკა" ჯარიმდება. იუგოსლაველი ნახევარდამცველი შორი მანძილიდან ურტყამს, მეკარე ნიკანოროვი ხხარტი ნახტომით იგერიებს ამ ბურთს, მაგრამ იუგოსლაველი მარცხენა გარემარბი უსწრებს და ახლო მანძილიდან „ცდკა"-ს კარში გააქვს პირველი ბურთი. საბჭოთა ფეხბურთელები კვლავ გადადიან იერიშზე. თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ა. ვინოგრადოვს ძლიერი დარტყმით ბურთი გააქვს მასპინძელთა კარში.

ამრიგად, „ცდკა"-სა და იუგოსლავიის გუნდ „კრასნაია ზვეზდას" შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი
მეშვიდე ტური

მეშვიდე ტურის ყველა პარტიაში დაძაბული ბრძოლა იყო. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა ქუქ-ტრიპოლიტოვის და პეტროსიანის პარტია, რომელიც ადვილად მოიგო უკანასკნელმა.

მწვავე იყო მალაშხია—ფხალაძის პარტია, გადამწყვეტ მომენტში ვერც ერთმა ვერ ითამაშა ზუსტად. უკანასკნელად ფხალაძემ შეცდომა დაუშვა და დამარცხდა.

კაკაბაძემ დებიუტით რამდენადმე უარესი პოზიცია მიიღო გიორგაძესთან, ვერც შემდეგში ითამაშა მან კარგად და დამარცხდა.

სერედამ დებიუტით მიღებული უპირატესობა კაკიაშვილთან მეთოდური თამაშით უფრო გააძლიერა და მოიგო ჯერ პაიკი და შემდეგ პარტიაც.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. აგამალიანს და არუთინოვს უიმედო მდგომარეობა აქვთ სოროკინისა და ფალავანდიშვილის წინააღმდეგ.

ტარსაიძეს ზედმეტი პაიკი და ცინცაძესთან მოგების გარკვეული შანსი აქვს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ლექციები

27 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 28). მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ფიზიკა-მათემატიკური მეცნიერების დოქტორი პროფესორი **ნოდია** წაიკითხავს ლექციას თემაზე: „ატომი და მისი ენერგია".

ბილეთების შეძენა შეიძლება პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" კლუბში.

27 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა"**.

ბილეთების შეძენა შეიძლება პარტკაბინეტში.

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

სახელმწიფო ოპერა — 26/XII — „დარეჯან ცბიერი", 27/XII — „ბახჩისარაის შადრევანი". **რუსთაველის სახელობის** — 26/XII — „დიდი ხელმწიფე", 27/XII — „ერთი ღამის კომედია". **მარჯანიშვილის სახელობის** — 26/XII — „უმზითვო", 27/XII — „ქამთაბერის ასული". **გრიბოედოვის სახელობის** — 26, 27/XII „თვითმფრინავი დღე-ღამეს იგვიანებს".

კ ი ნ ო ე ბ შ ი

26 დეკემბერს რუსთაველის სახელობის— „ტახარი და ზუხრა" (კინოჟურნალი „ჩელსი" —„დინამო"). **ოქტომბერი და დამკვრელი** — „ტახარი და ზუხრა". **კომკავშირელი**—„უკვდავი კაშჩეი". **სპარტაკი** — „არშინ-მალ-ალან". **ლუქსემბურგის სახელობის** — „გაზაფხულის ვალსი" (კინოჟურნალი „ჩელსი" — „დინამო").

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1946 წლის 8 იანვარს, დღის 2 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **ელენე იოსების-ასული ლოჩანაშვილი** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას [illegible]: **„მასალები ალიშის ოთხთავის არმენიზმების საკითხისათვის"**.

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი —დოქტორი **ლ. მელიქსეთ-ბეგი** და პროფესორი—დოქტორი **ს. ყაუხჩიშვილი**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

დირექცია

სახლთმმართველების და სახლთმფლობელების საყურადღებოდ. „მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 30 აპრილის ბრძანებულების 30-ე მუხლის თანახმად თბილისის ქალაქის საფინანსო განყოფილება აცხადებს სახლთმმართველების და სახლთმფლობელების საყურადღებოდ, რომ მათ ევალებათ 1945 წლის 1 დეკემბრიდან 1946 წლის 1 იანვრამდე წარუდგინონ სათანადო რაიფინგანებს სააღრიცხვო ცნობები ფორმა № 1 ბარათის მიხედვით.

მოქალაქენი, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი შემოსავლის წყაროები (გარდა ხელფასისა სამსახურის ადგილის მიხედვით და პენსიისა), როგორიც არიან შინამრეწველ-ხელოსნები, ბინის გამქირავებლები, კერძო პრაქტიკის მქონე ექიმები და სხვა, ვალდებული არიან 1946 წლის 1 იანვრიდან 15 იანვრამდე წარუდგინონ სათანადო რაიფინგანებს დეკლარაციები გასულ წელს მიღებული შემოსავლის შესახებ, ხოლო წლის განმავლობაში შემოსავლის წყაროების წარმოშობისას, დეკლარაცია პირველი თვის შემოსავლის შესახებ წარდგენილ უნდა იქნას შემოსავლის წყაროს წარმოშობის დღიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ 5 დღის განმავლობაში.

ის სახლთმმართველები და სახლთმფლობელები, რომლებიც დროულად არ წარმოადგენენ სააღრიცხვო ცნობებს ან წარადგენენ არასრულ ცნობებს, აგრეთვე მოქალაქენი, რომლებიც ვადაზე არ შეიტანენ დეკლარაციებს, „მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 30 აპრილის ბრძანებულების 33, 34 და 35 მუხლების თანახმად, დაჯარიმებულ იქნებიან.

დეკლარაციაში განზრახ არასწორი ცნობების შეტანა გამოიწვევს დამნაშავეთა სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემას.

სააღრიცხვო ბარათების ფორმა № 1 დეკლარაციების გაცემა იწარმოებს სათანადო რაიონულ საფინანსო განყოფილებებში.

თბილისის ქალაქის საფინანსო განყოფილება

მოქალაქე **ევგენია სოლომონის-ასულმა ლილუაშვილმა**, მცხოვრებმა ქობულეთის აღმართი № 19, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **რუბენ სუმბათის-ძე იუსბაშევთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში.

მოქალაქე **რომან ივანეს-ძე ხანიაშვილმა**, მცხოვრებმა კამოს ქ. № 29, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ქეთევან ივანეს-ასულ მეჭურელიშვილ-ხანიაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-88, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 09824